კორონავირუსის პანდემიის გამო ჩვენი გაზეთის გამოცემა დროებით (სავარაუდოდ, 31 მარტამდე) შეჩერებულია!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 21-22 მარტი. 2020 წ. №50 (8976) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სახელმწიფო სპეკულაცია!

ლარის გაუფასურება მხოლოდ ეროვნული ბანკის ბრალია!

⑤

ჩამოხსნილი ნიღბები

④

პოლიტიკური დიაგნოზი

საპატრიარქოში აცხადებენ, რომ ზიარების წესში ეჭვის შეტანა გამორიცხულია!

გუშინ წმინდა სინოდის სხდომამ მშვიდობიანად ჩაიარა. საქართველოს საპატრიარქოში აცხადებენ, რომ ცვლილება იქნება სასიკეთო, რეკომენდაცია მაშინ იქნება სასარგებლო, რომ მოახერხონ ეკლესიებში მსახურების გახმოვანება, რათა არ იყოს სიმჭიდროვე ტაძრებში, მაქსიმალურად იყოს დაცული ექიმების რეკომენდაციები.

ამის შესახებ საპატრიარქოში სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა, მეუფე ნიკოლოზმა განაცხადა. მისივე თქმით, ზიარების წესში ეჭვის შეტანა გამორიცხულია.

წმინდა სინოდის სხდომაზე მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებების შესახებ დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, წმინდა სინოდის სხდომა შედგა, რომელიც კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას მიეძღვნა.

„მთავარს“ და „ტვ პირველს“ ინკასო დაადეს!

ტელეკომპანია „მთავარის“ ანგარიშებს ინკასო დაედო. ინფორმაციას არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნოდარ მელაძე ავრცელებს.

მისი განცხადებით, ამ პერიოდში, როდესაც ბიზნესი კრიზისში იმყოფება და ტელევიზიებისთვის სარეკლამო მომსახურების თანხას ვერ რიცხავს, ხელისუფლება ტელევიზიების მუშაობას საჭიროდ არ თვლის და ინკასოს ადებს.

„მაშინ, როდესაც ბიზნესი კრიზისშია, შესაბამისად ვერც ტელევიზიებსურიცხავს სარეკლამო მომსახურების თანხას, ფინანსთა სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ მედიის მუშაობა არაა საჭირო და ინკასო დაადო ორ ტელევიზიას, მთავარ არხს და ტვ პირველს“, — წერს ნოდარ მელაძე.

დღეს ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

⑥

ბათუ დანელია

ქართველ ემიგრანტებს

მაფიქრებთ: როგორ ხართ, სადახართ.
დრო ყველგან ჰგავს ზღაპრის გუდასო!..
როგორ სძლებთ სამშობლოს გადაღმა
უცოლშვილ-უქმარშვილ-უდაძმოდ!

უცებ რომ დასჭირდეთ სამშობლოს
ძალის და იმედის მდინარედ
და მტერმა უთქვენოდ გვაჯობოს —
ამას ხომ ყოველთვის ინანებთ!

სამშობლოც ყვავილობს კვირტებით,
რომ ვერვინ აქციოს პაიკად...
სამშობლოს ხან მცველად სჭირდებით,
ხან კიდევ: გულში რომ ჩაიკრათ...

ხან უნდა გადექცეთ მარაოდ,
რომ შესვას ჰაერი ამოდღის...
სამშობლო სამოთხე არაა,
მაგრამ ის ასლია სამოთხის...

თქვენ კი ხართ სამშობლოს გადაღმა,
რადგან მას მშიერი დაურჩით...
აქ თქვენთვის ყანები გადახმა
შავ დღეთა საშინელ ხმაურში...

და სხვაგან სარჩოსთვის წახვედით,
იქ აღარ გშიათ და გწყურიათ.
იქ გშიათ ქართლი და კახეთი!
იქ გშიათ რაჭა და გურია!

სულ გინდათ ბავშვობის ღელესთან
ისმენდეთ მშობლიურ ხმამოტივს...
სამშობლოც სულ გიქნევთ ხელებსდა
როგორმე წამოდით! წამოდით!

ჯობს ერთად ვწუხდეთ და ვღელავდეთ,
ველოდეთ დროს მაღალჭერიანს...
და ერთად ვებრძოდეთ ყველაფერს,
რაც ჩვენი სამშობლოს მტერია!

რად უნდა გეძახდნენ მიგრანტებს,
ნაცემებს გარეშე ქარისგან!
ჯობს გულში სამშობლო გიკრავდეთ,
ობოლსაც, ქურდსაც და ღარიბსაც!..

წასულხართ ათასი წელია —
ასეა ლოდინის გამოთვლით...
სამშობლოს თვალები გელიან:
ჩამოდით! ჩამოდით! ჩამოდით!

19. 03. 20.

საკოორდინაციო საბჭოს ახალი გადაწყვეტილებები

პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედმა საკოორდინაციო საბჭომ ახალი გადაწყვეტილებები მიიღო.

მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, 20 მარტიდან სრულად შეწყდება საჰაერო მიმოსვლა და განხორციელდება მხოლოდ ის ავიარეისები, რომლებსაც, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით, ასრულებს „საქართველოს ავიახაზები“ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების მიზნით.

ამასთან, საზღვარგარეთიდან როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო გზით დაბრუნებული საქართველოს ყველა მოქალაქე კარანტინში განთავსდება. ამ მიზნით, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ლარსის, წითელი ხიდისა და სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტების მიმდებარედ, დამატებითი საკარანტინო სივრცეები მოეწყობა, რაც მთავრობას საშუალებას მისცემს, უკეთესად მართოს ვითარება.

ამასთანავე, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაიხურება ყველა საცალო ვაჭრობის ობიექტი, გარდა გატანის სერვისებზე მომუშავე კვების ობიექტებისა, სურსათის ობიექტებისა, ასევე საკოლმეურნეო ღია ბაზრობების, აფთიაქების, ბენზინგასამართი სადგურების და საბანკო სერვისების მიმწოდებელი ობიექტებისა.

პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკურ გუნდს დაავალა, უმოკლეს ვადაში წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები, რომელიც განხორციელდება დამატებით, გარდა იმ ეკონომიკური სტიმულირების პაკეტისა, რომელიც ცოტა ხნის წინ ამოქმედდა. აღინიშნა, რომ ახალი გეგმები, ეკონომიკის მხარდაჭერის დამატებითი პაკეტის შემუშავება ბიზნესს და საქართველოს მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, რომ კორონავირუსის გამოწვევას ეფექტურად გაუმკლავდნენ.

ამასთან, მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, საქართველოს მასშტაბით, საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის აღდგენამდე, მშობლებს შეეძლებათ, სახლში წაიღონ ის არამალფულჭებადი პროდუქტები, რომლებიც მიმდინარე არდადეგების პერიოდში ბავშვთა კვებისთვის ბაღებში უნდა გამოყენებულიყო.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით, კორონავირუსთან დაკავშირებით კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმის მიზნით, რეგულარულად იკრიბება.

დღემდე ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ინფექციის შეკავებასთან დაკავშირებით, არის სწორი!

პრინციპული შეთანხმება გახლავთ ის, **რომ დღემდე ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ინფექციის და ეპიდემიის შეკავებასთან დაკავშირებით, არის სწორი,** — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში მედიკოსებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„მხედველობაში მაქვს სასწავლო პროცესისა და ფრენების შეწყვეტა, მთელი რიგი დაწესებულებების მუშაობის შეჩერება, სავაჭრო დაწესებულებებისა და ა.შ. და ძალიან მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის აღსრულება და მონიტორინგი, რამეთუ ეპიდემიის შეკავების მთავარი მექანიზმი გახლავთ სოციალური დისტანცირება. სოციალური დისტანცირება ექსპერტების მიერ ჩაითვალა, როგორც ყველაზე უფრო მძლავრი მექანიზმი ეპიდემიის შენელებისა და გავრცელების პრევენციის თვალსაზრისით,“ — თქვა გამყრელიძემ.

3-4 დღეში კიდევ გვეყოლებიან გამოჯანმრთელებული ადამიანები!

დარწმუნებულები **იყავით, რომ მომავალ 3-4 დღეში კიდევ გვეყოლებიან გამოჯანმრთელებული ადამიანები,** — განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ.

„იცით, რა სტანდარტიც არის გაწერასთან დაკავშირებით, რომ 24 საათში ზედიზედ ორჯერ ადამიანს PCR ტესტი უნდა ჰქონდეს უარყოფითი. მე არ მინდა, რომ შევცდე, მაგრამ დარწმუნებულები იყავით, რომ მომავალ 3-4 დღეში კიდევ გვეყოლებიან გამოჯანმრთელებული ადამიანები“, — თქვა გამყრელიძემ.

თენგიზ ცერცვაძე: ტრამპმა რაც გუშინ თქვა, ჩვენ თვენახევარია, ვაკეთებთ, ამის გამო პატარა ზეიმივით გვქონდა სამსახურში

— ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა, თენგიზ ცერცვაძემ გუშინ განაცხადა.

„მოხდა საინტერესო რამ, გუშინ გამოქვეყნდა ფრანგების რეკომენდაციები, სადაც მათაც „პლაქვენილი“ დაასახელეს ამ დაავადების, ახალი კორონავირუსის სამკურნალოდ. კიდევ მოხდა უფრო მნიშვნელოვანი რამ, ტრამპი, იცით მისი ექსტრავაგანტულობა, ამ დროს ზოგჯერ გადამჭრელი, სწრაფი მოქმედებები ძალიან მნიშვნელოვანია, გამოვიდა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ვერ დაელოდება FDA-ს ოფიციალურ რეკომენდაციებს და ექსპერტების რჩევისა და ანალიზის საფუძველზე, თავის თავზე იღებს, რომ ეს მედიკამენტი, „პლაქვენილი“ პრეზიდენტის ბრძანებით დაუშვას გამოსაყენებლად. ანუ, ექიმებს ჰქონდეთ უფლება, გამოიყენონ, ვიდრე FDA დასკვნას გააკეთებს. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და მართალი გითხრათ, პატარა ზეიმივით გვქონდა სამსახურში, რაც ტრამპმა თქვა გუშინ, ჩვენ ამას ვაკეთებთ თვენახევარია“, — განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

რა იცავს ბავშვებს

ახალი **კორონავირუსის ფართოდ გავრცელების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ბავშვები ამ დაავადებით თითქმის არ ხდებიან მძიმედ ავად. ახალი კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც COVID-19-ით ინფიცირებული 44 672 ადამიანის მონაცემი შეისწავლეს, დადგინდა, რომ 10 წლამდე ბავშვების რაოდენობა მათ შორის ერთ პროცენტზე ნაკლებია, მათგან 1023 გარდაცვლილს შორის კი არც ერთი ბავშვი არ არის.**

იელის უნივერსიტეტის მეცნიერის, აკიკო ივასაკის განცხადებით, ამ დეტალით COVID-19 გრიპისგან ძალიან განსხვავდება. გრიპის შემთხვევაში, ყველაზე მძიმედ სწორედ ბავშვები და მოხუცები ავადდებიან; საინტერესოა, რატომ არის ახალი კორონავირუსი ამ მხრივ განსხვავებული? ეს ამბავი ბოლომდე გარკვეული არ არის.

პირდაპირი ახსნა იქნებოდა, რომ ბავშვები პირველ რიგში რეზისტენტული არიან ინფექციის მიმართ, მაგრამ ეს ნამდვილად არ ჩანს სიმართლე. ჩინეთში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ ისიც დაასკვნა, რომ ინფიცირების რისკი ბავშვებსაც ზრდასრულების თანაბრად აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში, COVID-19-ით ინფიცირებული ბავშვის მძიმედ ავად გახდომა და მით უმეტეს სიკვდილი მაინც ძალიან ნაკლებად მოსალოდნელია. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნეოდა ასევე კორონავირუსებით გამოწვეული ორი მწვავე დაავადების — SARS-ისა და MERS-ის შემთხვევაშიც. შესაბამისად, საინტერესოა, რა იცავთ ბავშვებს?

„ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერ არავის აქვს“, — ამბობს ივასაკი. თუმცა, ის და სხვა ექსპერტები ეჭვობენ, რომ ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის უნიკალური გზა, რომლითაც ბავშვების იმუნური სისტემა ამ ვირუსებს პასუხობს.

COVID-19-ის, SARS-ისა და MERS-ის ზოგადი გართულებები

„ცოტა გამაბედინე“, ანუ დანებდება თუ არა ეშმაკებს ეკლესია?!

— მიყიდე მამი, სიცოცხლე“ — ევედრებოდა იმ დროისთვის „ყოვლისშემძლე“ მამას 28 წლის ვაჟკაცი გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მოსკოვის ყველაზე პრესტიჟულ კლინიკაში.

როგორც თვითმხილველები ყვებოდნენ, ამ სიტყვების გაგონებაზე მამას ლოყაზე ცრემლები გადმოუგორდა — იცოდა, რომ მისი შვილის დღეები დათვლილი იყო და სიცოცხლეს ვერ უყიდდა...

დიახ, სიცოცხლის ყიდვა შეუძლებელია — უფალმა თვითონ იცის, ვინ როდის გაიყვანოს ამ ქვეყნიდან. აქედან გამომდინარე, ის კითხვის ნიშნებიც უადგილოა, ხანდახან რომ აღმოგვხვდება ხოლმე, როცა ჩვილის ან ახალგაზრდის იმ სამყაროში გადასახლებას შევიტყობთ!

როგორც წუთისოფლის სტუმრები, ერთ დროს ყველა იმ „სოფელში“ მივდივართ — ზოგი, ჩვენი გაგებით — ადრე, ზოგიც — გვიან. თუმცა, ეს არ არის მთავარი — მთავარია, რა საუნჯეს ვაგროვებთ ამ წუთისოფელში და როგორ წარვსდგებით სამყაროს შემოქმედის წინაშე!

ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ უფალი მხოლოდ განსაცდელის ჟამს გვახსენდება. სხვა დროს კი, ამქვეყნიური სიამტკბილობის მორევში ვიძირებით!!!

ამბობენ, რომ კორონავირუსი ხელოვნურად შექმნილი „საჩუქარია“ დღევანდელი მსოფლიოსთვის. თუმცა, ასეც რომ იყოს, რა შელავათია ჩვენთვის — უფლის დაშვების გარეშე სამყაროში ხომ არაფერი ხდება და ესეც მორიგ განსაცდელად უნდა მივიღოთ...

დიახ, ეს არის მორიგი განსაცდელი ჩვენს დასაფიქრებლად და გამოსაღვიძებლად, რადგან, კაცობრიობა ისე დაშორდა უფალს, თუ ძალიან არ მოინდომა, მასთან მისასვლელ გზასაც ვერ გაიგნებს!!!

როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოში აგორებულ პანიკას საქართველომაც აუბა მხარი — ქართული მედია იმდენად აღმოჩნდა „მოწოდების“ სიმაღლეზე, რომ მცირედ მორწმუნე მასაში ბოლო ჟამის (უფლის მეორედ მოსვლის) რეალური სურათი დახატა - მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვირუსის გავრცელებას ქვეყანაში მასობრივი ხასიათი არა აქვს, ხალხი დაპანიკებულია! პანიკას კიდევ უფრო ამძაფრებს კვების პროდუქტებზე და მედიკამენტებზე კატასტროფულად გაზრდილი ფასები, რომელიც იმ უნამუსოების სინდისზეა, ვინც ამ კრიტიკულ სიტუაციაში ცდილობს, დაპანიკებული თანამოქალაქეების ხარჯზე მოითბოს ხელი. თუმცა, ეს უნამუსოები იმაზე ნაკლებად ფიქრობენ, რომ ასეთი საქციელით ღვთის რისხვას ვერ გადაურჩებიან.

მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლება ახერხებს სიტუაციის რეგულირებას და ვირუსის გავრცელების წყარო მეტ-ნაკლებად განეიტრალებულია. თუმცა, დღევანდელმა განსაცდელმა (ჩვენდა სავალალოდ), კიდევ ერთხელ გამოაჩინა ქართული და, ზოგადად, ადამიანურ ბუნებაში ღრმად ჩაკირული ეგოიზმი — ხალხი მხოლოდ საკუთარი თავის ფიზიკურ (და არა სულიერ) გადარჩენაზე ფიქრობს. ამის დასტური, თუნდაც თვითიზოლაციის წესების დარღვევა და სუპერ და ჰიპერმარკეტებში გაჩაღებული ზედახორაა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ყველაფერი საზოგადოების მცირედმორწმუნეობაზე მეტყველებს. სხვანაირად, რა მნიშვნელობა აქვს, მარტო საკუთარი თავის ფიზიკურ გადარჩენაზე იფიქრო, თუ შენს გვერდით შენი ახლობლები არ იქნებიან. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წლით მეტხანს იარსებებ (დიახ, იარსებებ და არა იცხოვრებ) ამ აყროლებულ (მომიტევეთ, ასეთი შეფასება) წუთისოფელში, თუ უფალთან მისასვლელი პირი არ გექნება?!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკუთარ სამწყსოს ლოცვის გაძლიერებისკენ მოუწოდა. საქართველოს საპატრიარქომ სპეციალური მიმართვაც გაავრცელა, სადაც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ რა უნდა გააკეთოს ეკლესიამ ამ განსაცდელის ჟამს და როგორ უნდა მოიქცეს მრევლი.

საპატრიარქოს მიმართვაში ყურადღება გამახვილებულია ერთ რიტუალზე, რომელიც ზიარების შემდგომ აღესრულება, კერძოდ, „სიტკბოების“ მიღების წესზე.

საპატრიარქო დასაშვებად, მიიჩნევს ზიარების შემდგომ, სასმელის („სიტკბოების“) მიღება მოხდეს „საკუთარი ან ერთჯერადი ჭიქებით“. თუმცა, იქვე მინიშნებულია, რომ ზიარების წესი (ანუ, მრევლის ერთი კოვზიდან ზიარება) არ იცვლება.

სხვათაშორის, მორწმუნე მრევლისგან ამის (საკუთარი ან ერთჯერადი ჭიქებით „სიტკბოების“ მიღების) აუცილებლობა ადრე არ მსმენია, თუმცა, „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ გამონათქვამმა კორონავირუსის პრევენციის მიზნით მცირედმორწმუნე მრევლშიც იჩინა თავი! როგორც ჩანს, საპატრიარქომაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მთავრობის რეკომენდაცია გაითვალისწინა.

ადრე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: ეკლესია არასდროს ყოფილა მრევლის დაინფიცირების (მომაკვდინებელი ვირუსების) წყარო — პირიქით, როგორც საპატრიარქოს ზემოხსენებულ მიმართვაშია ნათქვამი, იგი თავად არის „წყარო სიცოცხლის და მშვიდობისა“.

საქართველოს მთავრობა და ურწმუნო მრევლი (ეკლესიის დაუძინებელ მტრებთან ერთად) ამას ჰიგიენის დაცვის მოტივით ხსნიან.

თუმცა, ამ ერთი შეხედვით უწყინარი ცვლილების (რეკომენდაციის) მიღმა სხვა ჩანაფიქრი იმალება, რომელსაც ეკლესიის მტრები არც მალავენ.

უკვე აქტიურად მიდის საუბარი ზიარების საიდუმლოს (ერთი კოვზიდან ზიარება) შეცვლის აუცილებლობაზეც (ზიარება მოხდეს ერთჯერადი კოვზებით).

შეიძლება ესეც ერთი შეხედვით უწყინარ (ჰიგიენის, ვირუსისგან დაცვის) მოთხოვნად ჩაითვალოს, რომ არა ეშმაკეულთა შორს მიმავალი გეგმები!..

ორიოდე დღის წინათ, საქართველოს პარლამენტის წევრმა „ნაციონალებიდან“ **რომან გოცირიძემ** სოციალურ ქსელში რამდენიმესიტყვიანი სტატუსი გამოაქვეყნა: **„ქების ღირსია საქართველოს საპატრიარქო. პირველი სწორი ნაბიჯი გადადგა და დაუშვა ერთჯერადი ან საკუთარი ჭიქების გამოყენება“...** ტროლებმა და ურწმუნოებმა სტატუსი საჯილდაო ქვად აქციეს და არაორაზროვნად აღნიშნეს, რომ აუცილებელი იყო ზიარების წესის შეცვლაც, ანუ ერთჯერადი კოვზით ზიარება, რასაც გოცირიძის პასუხიც მოჰყვა: **„მაგის დროც მოვა!“**

სტატუსს საკუთარი კომენტარით გამოვეხმაურე და მივანიშნე, რომ ავტორის სიტყვებში გარკვეული სარკაზმი და ჭეშმარიტი მართლმადიდებლებისთვის მიუღებელი პერსპექტივაც იკითხებოდა, რასაც **გოცირიძის** „ღრმაშინაარსიანი“ პასუხი მოჰყვა: **„საპატრიარქო უფრო პროგრესულია, ვიდრე მრევლის ბნელი, ფარისევლური და ფანატიკური ნაწილი“.**

იქ დავწერე და ახლაც ვიმეორებ: **ბნელი და ფარისეველი ერშიცაა და ბერშიც და ამაში არაფერია უჩვეულო, მაგრამ, რატომ მიდის ასე აქტიურად საუბარი ზიარების წესის შეცვლაზე ეკლესიის დაუძინებელი მტრებისგან?!**

ხომ არ არის ეს „ცოტა გამაბედინეს“ სინდრომი, რომ მცირედი დათმობით უფრო მეტი მოითხოვონ და თუ ეკლესია და მრევლი არ აღმოჩნდება მოწოდების სიმაღლეზე, მიაღწიონ კიდეც?!

მეტი არაა ჩემი მტერი, მათ (უკვე იატაკქვეშეთიდან გამოსულ საშიშ სექტას) თანამოქალაქეთა მომაკვდინებელ ვირუსისგან დაცვა აინტერესებდეთ. მათი მიზანია, უწესრიგობა შეიტანონ რწმენის ციტადელში — საქართველოს ეკლესიაში და მორწმუნე მრევლი უფლის მადლს განაშორონ.

თუმცა, ვფიქრობ, ეკლესიის მტერთა მეცადინეობა ამით არ დამთავრდება — მალე, ალბათ, ეკლესიიდან ხატების გატანის მოთხოვნაც წამოვა, რადგან, მათი აზრით, ხატს უამრავი ადამიანი ემთხვევა და რეალურად არსებობს „საშიშროება“, რომ მრევლი დაინფიცირდეს!

ღრმადმორწმუნეობა არ არის აუცილებელი, იფიქრო, რომ კაცობრიობა, უპირველესად, მორწმუნე მართლმადიდებელი მრევლი მკაცრი გამოცდის წინაშეა. ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ჩავაბარებთ ამ გამოცდას და დანებდება თუ არა ეშმაკებს ეკლესია?!

ზაურ ნაჭყებია

კორონავირუსის გართულებებისგან?!

ზრდასრულებში გამოიხატება მწვავე რესპირატორული აშლილობის სინდრომით, რომელშიც იმუნური სისტემის პასუხი კორონავირუსის წინააღმდეგ გადამეტებულია და იწვევს ფილტვების სიცოცხლისთვის საშიშ დაზიანებას.

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მკვლევარის კრის ვან ტულეკენის განცხადებით, ამის შედეგად ხდება ფილტვებში სითხისა და მკვდარი იმუნური სითხეების გამოჟონვა, რაც დიდ პრობლემებს იწვევს. მისი თქმით, მართალია, იმუნური სისტემა ასეთი შეპასუხებითა და ვირუსზე თავდასხმით ჩვენს დაცვას ცდილობს, მაგრამ რეაგირება გადამეტებულია და სინამდვილეში ბლოკავს ფილტვების მიერ ჟანგბადის მიღებას.

იმის გამო, რომ ბავშვების იმუნური სისტემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, ერთ-ერთი მოსაზრებით, როდესაც ისინი COVID-19-ით ან მსგავსი ინფექციებით ავადდებიან, ამ დროს დაცული არიან ასეთი სახიფათო იმუნური რეაგირებისგან, რომელსაც ციტოკინეზურ შტორმს უწოდებენ.

SARS-ის ეპიდემიის დროს, ორმა კვლევამ დაადგინა, რომ ბავშვებში წარმოიქმნებოდა ანთებით გამოწვეული ციტოკინეზის (უჯრედების დაყოფა) შედარებით დაბალი დონე; სწორედ ეს ფაქტორი შეიძლება იყოს ის, რაც მათ ფილტვებს სერიოზული დაზიანებისგან იცავს. თუმცა, ეს ვერ ხსნის, რატომ პასუხობს ბავშვების იმუნური სისტემა კორონავირუსებსა და გრიპს სხვადასხვანაირად. ივასაკის თქმით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს თითოეული ვირუსის წინააღმდეგ წარმოქმნილი სხვადასხვა ტიპის ციტოკინეზური პასუხი.

ბავშვების სასარგებლოდ შეიძლება მოქმედებს ზოგადად კორონავირუსების ნაკლები ექსპოზიცია წარსულში. იმის გამო, რომ ზრდასრულებს უფრო დიდი ხანი აქვთ ნაცხოვრები, მათ უფრო მეტად აქვთ გადატანილი სხვა კორონავირუსები, თუნდაც ჩვეულებრივი გაციება და შესაბამისად, უკვე აქვთ ანტისხეულებიც ამ მსუბუქ ვირუსებთან საბრძოლველად.

მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, ეს უკვე არსებული ანტისხეულები ზრდასრულ ადამიანებს სინამდვილეში შეიძლება უარეს მდგომარეობაში აგდებს, რადგან ისინი ზუსტად არ ემთხვევა ახალ კორონავირუსს.

„შეუსაბამო ანტისხეულები ზოგჯერ შეიძლება უფრო საზიანო იყოს, ვიდრე სასარგებლო“, — ამბობს ლონდონის საიმპერატორო კოლეჯის მკვლევარი ვენდი ბერკლი.

იმის გარკვევა, თუ რატომ არიან ასეთ შემთხვევებში ბავშვები უფრო მეტად დაცული, უბრალოდ, სამეცნიერო ინტერესზე მეტია.

„თუკი როგორღაც შევძლებთ ბავშვის იმუნური სისტემის მიბაძვას, თერაპიისა თუ პრეპარატების გამოყენებით, შეიძლება, ინფექცია ზრდასრულ ადამიანებშიც შევამსუბუქოთ“, — ამბობს აკიკო ივასაკი.

და კიდევ, მხოლოდ ის, რომ ბავშვები მძიმედ ავად არ ხდებიან, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ მონაწილეობენ ახალი კორონავირუსის გავრცელებაში. ივასაკის თქმით, სახიფათოა იმით თავმოწონება, რომ ბავშვებს დაავადება თითქმის უსიმპტომოდ გადააქვთ.

მეცნიერებს შორის უკვე ჩნდება ეჭვი, რომ ვირუსის გავრცელება ზრდასრულ ადამიანებს სიმპტომების გამოხატვის გარეშე შეუძლიათ და იგივე შეიძლება იყოს ბავშვების შემთხვევაშიც. ივასაკის განცხადებით, ამიტომ არის პრევენციისათვის აუცილებელი სკოლების დახურვა. ერთ-ერთ ახალ კვლევაში აღწერილია COVID-19-ით ინფიცირებული ბავშვი, ვირუსის საკმაოდ მაღალი დონით, მაგრამ ყოველგვარი სიმპტომების გარეშე. უცნობია, არიან თუ არა ბავშვები ასეთ მდგომარეობაში ინფექციურები, მაგრამ ამის დადგენა კრიტიკულად მნიშვნელოვანია პანდემიასთან ბრძოლისთვის.

ჩამოხსნილი ნიღბები

საერთოდ არ ვაპირებდი ამ წერილის დაწერას, მით უმეტეს იმ ვითარებაში, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, მაგრამ ამ ორი დღის განმავლობაში ე.წ. ოპოზიციური პარტიების „ლიდერებმა“ საბოლოოდ გამოავლინეს თავიანთი სახე და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის მათი შინაგანი მდგომარეობა, მათი რეალური მიზნები, აუცილებლად ჩავთვალე ერთად შემეკრიბა და თქვენთვის გამეზიარებინა ის გამონათქვამები, რასაც ისინი აკეთებენ. კიდევ ერთხელ მეჩვენებინა ის დამოკიდებულება, რაც ამ არსებებს ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის მიმართ აქვთ და თქვენთვის კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება, არჩევნების წინ დავფიქრდეთ და სწორი არჩევანი მივიტანოთ.

დიახ, ვირუსი დამარცხდება. ქვეყანა ჩადგება ნორმალური ცხოვრების რეჟიმში, მაგრამ მათ მიერ დაწერილი თუ ნათქვამი ბოღმა სამუდამოდ დარჩება.

დარჩება თუნდაც იმ მარტივი ჭეშმარიტების გამო, რომ „ხელნაწერები არ იწვიან“.

ნამდვილად არ ვარ კომუნისტური წყობის აპოლოგეტი და არც კომუნიზმის გამარჯვების მჯეროდა არსდროს, მაგრამ ახლა რასაც ვაკვირდები, ის ძგადმონაშთებიძ, როგორც ნაცები, თუ ლატენტური ნაცები გვიწოდებენ, ყველაფერში უფრო მაგრები ვართ, ვიდრე ეს „კედლებსერტიფიკატით სავსე“ ტიპები.

მაპატიეთ ამ დაყოფისთვის – ჩვენ და ისინი, მაგრამ რეალობა ასეთია.

ჩვენ არ ვპანიკობთ, ვხედავთ ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ზუსტად ვაფასებთ.

ჩვენ ვიაზრებთ, ვემორჩილებით იმ წესებს რაც აუცილებლად შესასრულებელია და არ ვწივით – კარანტინში გადაყვანა ადამიანის უფლებების დარღვევაა.

ჩვენ გვჯერა ექიმების რევების. არ ვიგონებთ რაღაც მარაზმატიკულ ეჭვებს, არ ვგოდებთ – გერმანიაში ამდენია, იტალიამ ვერ გაუძლო, და ჩვენ რა დაგვემართება.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, განვიცდით სხვების გასაჭირს, გულში გვსიამოვნებს, რომ სხვებზე მაგრები ვართ და ზუსტად ვიცით, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ახლა კი გთავაზობთ „მათ“ გამონათქვამებს:

„კორონამ“ ვერანაირი გეგმა ვერ ჩამოგვამხო! პირიქით, დაზარალებული ეკონომიკა ოპოზიციას აწყობს – გონება დაძაბეთ!..

„არ ვაპირებ ამ ხელისუფლების დადგენილ სამედიცინო სტანდარტებს დავემორჩილო“, – განაცხადა „ევროპული საქართველოს“ წევრმა **სერგი კაპანაძემ,** მას შემდეგ რაც იგი თვითიზოლაციის წესების დარღვევაში ამხილეს.

„რა ხდება? ხალხი ტაშს უკრავს იმას, რომ მთელი საქართველოს ექიმობა უვლის კარანტინში გამოკეტილ ოცდაათ საშუალო სიმძიმის ინფიცირებულს? სხვას არაფერს ვიტყვი, მაგრამ ემოციური სტაბილურობა ისეთი დაბალია, რომ სწორედ ექიმები უნდა იყვნენ ფრთხილად: ოდნავი გადაცდენა და იგივე ბრბო, როგორც იტყვიან, ნაკერავზე გაგხევთ“, – წერს **ნოდარ ლადარია.**

„დაამუღამეს ტელევიზიასთან კეკლუცობა, ბრიფინგი ბრიფინგზე, ერთი მინისტრი, მეორე მინისტრი, რას კეკლუცობთ ხალხო?! რა დროს ამდენი ბრიფინგი და შეხვედრებია, წადით და იმუშავეთ, რა, ტესტები ჩამოიტანეთ, რა .

რა მოქცევა და დამოკიდებულებაა საზოგადოებასთან მართლა მაინტერესებს. გონიათ ვერავინ მიხვდება ამ მაიმუნობას, რაც არის. ?“ – ამბობს **გიორგი ვაშაძე.**

„საქართველოს უამრავი ჭირიანობა გადაუტანია, მაგრამ ჩვენ არ გადავშენებულვართ. არავითარი სერიოზული საშიშროება ეს ვირუსი არ არის, ჩვეულებრივი გრიპია, ოღონდ ახალი სახით. ჩვეულებრივი გრიპით მარტო ამერიკაში სეზონზე კვდება 53 000 ადამიანი, ხოლო 49 მილიონმა ამერიკელმა იავადმყოფა გრიპით. ეს არის გრიპებს შორის ყველაზე იოლი ფორმა, ახალი ხილია და ამის გამო არის აჟიოტაჟი წამოსული.

ჩვენ არ უნდა გადავაქციოთ ეს რაღაც ტრაგედიად, ფსიქოზად და მით უმეტეს, მთავრობამ არ უნდა გამოიყენოს თავისი ეკონომიკური თუ რაღაც სხვა გეგმების შესასრულებლად. ერთი-ორი კვირა და აპრილისთვის ეს პანდემია ჩაქრება და ჩვენ დავრჩებით იმ ბოსელში, რომელიც ივანიშვილმა აგვიშენა და ეს ბოსელი ჩვენი დასანგრევია. ვერავითარი პანდემია ამაში ხელს ვერ შეგვიშლის. ბევრი დაავადება არის, რომელიც იწირავს ადამიანებს, იშემიური დაავადებით წელიწადში 16 მილიონი ადამიანი კვდება და საქართველოში პროცენტულად ძალიან ბევრია ასეთი. ხელისუფლება თუ დაფიქრებულა, რომ დაეხმაროს და დადგას დეფიბრილატორები, გულის ასამუშავებელი აპარატურა ხალხმრავალ ადგილებში, სტადიონებზე, პროსპექტებზე, თეატრებში“, – განაცხადა **შალვა ნათელაშვილმა.**

თავდაცვის ყოფილი მინისტრი **თინათინ ხიდაშელი** სოციალურ ქსელში წერს:

ორიოდე ძალიან მარტივი საკითხი მინდა დისკუსიისთვის შემოგთავაზოთ:

1. გვაწუხებს ამბავი იმის შესახებ რომ საგანგებო მდგომარეობის დროს შესაძლებელია კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა.

დიახ, მართალია. სწორედ ამისათვის არსებობს ასეთი სამართლებრივი ფორმა.

2. და რატომ არ გვაწუხებს ის რომ პრაქტიკულად ყველა ეს უფლება დღეს ისედაც შეზღუდული გვაქვს მაგრამ უმეტეს შემთხვევებში პრაქტიკულად უკანონოდ?

3. აბსტრაქციად რომ არ მოგეჩვენოთ მაგალითსაც შემოგთავაზებთ. ადამიანი თვითიზოლაციაშია. შემდეგ მიდის მარკეტში პურის საყიდლად, სადაც დაინახავს მეზობელი, დარეკავს პატრულში, მოდის პატრული და აკავებს. სად, რომელ კანონში გვიწერია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია?

სად რომელ კანონში გვიწერია, რომ პოლიციის ასეთი ქმედება ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებთან თავსებადია?

თვითიზოლაცია არ არსებული სამართლებრივი მდგომარეობაა, რომელსაც არავითარი სამართლებრივი შეზღუდვები, აკრძალვები და სხვა არ მოჰყვება ჩვენი კანონმდებლობით.

4. სხვა მაგალითიც შეგვიძლია მოვიყვანო. სანამ არ არის გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, ჩვენი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება აბსოლუტურია და დაცულია. ხოდა, ხვალ რომ მიტინგი გამოვაცხადოთ და ხელისუფლებამ არ დაუშვას მისი ჩატარება, რაც სრულიად გამართლებული საქციელი იქნება მოსახლეობის უმრავლესობისთვის, იურისტები რომელი კანონით გააართლებთ ხელისუფლების ამ საქციელს, არ იქნება ეს ჩვენი კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა? და კანონები და კონსტიტუცია იმიტომ გვაქვს, რომ მუდამ კარგი ან ცუდი ადამიანების კეთილგონიერების იმედად ვიყოთ?

5. ანუ მზად ვართ იმისთვის რომ ამ ხელისუფელებას, რომელსაც არ ვენდობით, ვანდოთ ჩვენი კონსტიტუციური უფლებების უკანონოდ შეზღუდვა, ამის არ გვეშინია, იმიტომ რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეხლა, მაგრამ ეს ყველაფერი კანონით რომ აკეთოს ამისთვის არ ვართ მზად? სწორად გავიგე?

6. და რა ხდება იმისგან განსხვავებული, მაგალითად, ბელგიაში, ან აშშ-ში, ან სხვა ქვეყნებში, სადაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობ, რაც ჩვენთან ხდება? და მაინც რატომ გადაწყვიტეს იქ საგანგებოს გამოცხადება? ნეტავ იმიტომ ხომ არა, რომ პანიკისა და უბედურების ჟამსაც კანონის უზენაესობა მნიშვნელოვანია, უფრო მეტიც, სწორედ ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

P. S. სხვათაშორის სააკაშვილი შალიკიანს ტელეკამერებით რომ იჭერდა და მისი მცირეწლოვანი შვილების დაწიოკებას გვაყურებინებდა მაშინაც მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილი იყო, მიზანშეწონილი ეგონა. ჩვენ ვჩხუბობდით, მიშა ამბობდა, ეს პროცედურის მონებიო, მერე მისი მიზანშეწონილობის ფარგლები გაიზარდა, და იმდენს აღარ მოწონდა, როგორც შალიკიანის შემთხვევაში, მაგრამ მიშა მაინც პროცედურის მონებს გვეძახდა, ხოდა, მერე რაც მოხდა, მადა ჭამაში როგორ გაიზარდა კი გვახსოვს.“

ჩემს შეხედულებებს ამ არსებებთან დაკავშირებით არ დავწერ. არ დავწერ, რადგანაც ასე თუ ისე საკმაოდ ზრდილობიანი ვარ და არ მინდა შიშხათიანი სიტყვებით მკითხველს შეურაცხყოფა მივაყენო. თანაც დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ზუსტად იმასვე ფიქრობთ, რასაც მე.

მათ საზოგადოებამ სოციალურ ქსელში უკვე გასცა საკადრისი პასუხი.

მაგალითად **ექიმი ნინო ნადირაძემ** საკმაოდ ღირსეული პასუხი გასცა ლადარიას:

„გაუტყდა, რომ ტაში მას არ დაუკრეს? წარმომიდგენია რა შურით უცხოვრია მთელი ცხოვრება, და გულით შემეცოდა. ვიცით, რომ არაფერი არაა მუდმივი, ტაშიც მათ შორის, არც სიხარული, არც წუხილი, არც ბედნიერება, მაგრამ ამის გამო ყველაფერ ამაზე უარი ვთქვათ? აი, შეაგდეთ ეს ბოღმა იმ საშუალო სიმძიმის პაციენტებში და აღვრევინეთ სუდნოები 200 ლარად, რა ფასადაც ამას პერსონალი აკეთებს! ფუჰ, ეს მართლა „ნაკერავზე გასახევი“, – წერს **ნინო ნადირაძე.**

შალვა რამიშვილმა კი **ჩერგოლეიშვილს ზუსტი დიაგნოზი დაუსვა: ჩერგოლეიშვილს სჭირს ვერბალური ბულემია, ბევრს ლაპარაკობს, ბევრს წერს და ამ დროს ის რაც გიგასგან აქვს მოსმენილი, ან ოპოზიციის გეგმებია, მისი პირიდან ცხადდება.**

მე კი ამ საკითხს ცოტა სხვანაირად შევხედე.

ამ სულიერთა ერთი შეხედვით ეს იდიოტური ფრაზები საკმაოდ დამაფიქრებელია.

დამაფიქრებელია არა იმიტომ, რომ მათ ნათლად დაგვანახვეს ე.წ. ოპოზიციის ნამდვილი სახე და ვნებები. ის, რომ მათთვის უმთავრესია ხელისუფლებაში მოსვლა და ამისთვის მზად არიან, ველანაირ საშინელებაზე წავიდნენ (მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ვიცოდით), ამ ფრაზით გვაჩვენეს ის დაუსჯელობის სინდრომი, რაც სამწუხაროდ ქვეყანაში გამეფებულია.

გვაჩვენეს ის **„ნარუშილოვკა“,** რაც ამ ე.წ. ოპოზიციონერებს მიღებული აქვთ.

შეგიძლია, ბიუჯეტიდან მოიპარო 50 მილიონი და შენ არა თაღლითად, არამედ პლიტპატიმრად შეგრაცხონ.

შეგიძლია ჩაიდინო უამრავი სისხლის სამართლის დანაშაული, გაიქცე ქვეყნიდან და შენ ისევ პოლიტიკური ლიდერი იქნები.

შეგიძლია განაცხადო, რომ **„დაზარალებული ეკონომიკა ოპოზიციას გვაწყობს“** და შენ არა საბოტაჟის და დივერსიის მომწყობი, არამედ ოპოზიციური სპექტრის მაღალი ეშელონის წარმომადგენელად დარჩები.



უკაცრავად, მაგრამ ამ ყველაფრის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებს სახელმწიფებრივი ნება სჭირდება. ხელისუფლების მხრიდან ამ მიმართულებით გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯები.

მე კი ჩემი კომპიუტერით ამას ნამდვილად ვერ მოვახერხებ.

გია გაბრიჭიძე

სასამართლო სხდომები დისტანციური წესით ჩატარდება

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ, სასამართლო სხდომების დისტანციური წესით ჩატარებასთან დაკავშირებით, უზენაეს სასამართლოში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო.

შეხვედრას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორის მოადგილე ნიკა ცხვარაშვილი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი რაჟდენ კუპრაშვილი ესწრებოდნენ.

მხარეებმა ქვეყანაში არსებული ინფექციური დაავადების გავრცელების პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომების დისტანციური წესით ჩატარების დეტალები განიხილეს და სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე შეთანხმდნენ. სასამართლო სხდომების დისტანციური წესით ჩატარება გულისხმობს პროცესის ყველა მონაწილის ჩართვას სპეციალური პროგრამის დახმარებით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მხარეები ვიდეოკონფერენციაში ერთდროულად ჩაერთონ.

პროკურორებს შესაძლებლობა ექნებათ დისტანციურ სასამართლო სხდომებში მონაწილეობა მიიღონ პროკურატურის ნებისმიერი ოფისიდან.

დემურ გიორხელიძე:

ლარის გაუფასურება მხოლოდ ეროვნული ბანკის ბრალია!

ახლა გაზაფხულია და, თუ სოფლის მეურნეობაში შესაბამისი ღონისძიებები გატარდება, შედეგი შეიძლება, მივიღოთ

კორონავირუსისგან მომდინარე ეკონომიკური ზარალის შესახებ ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე გვესაუბრება.**

ხელისუფლება აცხადებს, რომ ეკონომიკის წამახალისებელი ღონისძიებები გაგრძელდება მანამ, სანამ კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი გაგრძელდება. როგორ აისახება ეს ვირუსი კონკრეტულად საქართველოს ეკონომიკაზე?

— ეკონომიკურ ზარალზე ახლა იმდენად საუბარი არ არის. ცხადია, ეკონომიკური ზარალი მთელ მსოფლიოში იქნება, მაგრამ მთავარია, ამ უბედურებას გადავრჩეთ. საჭიროა დრაკონული კანონების მიღება, ჩაკეტვა ქვეყნისა, რადგან ფაქტია, მკაცრი ზომების მიღება დაგვიანეს. მკვეთრად უარყოფითი შეფასება მივეცი იმ ფაქტს, რომ იტალიასთან ავიამიმოსვლას არ კეტავდნენ, არც განიხილებაო, რადგან რეალურად არ ჰქონდათ წარმოდგენილი საფრთხეები. ამ მხრივ დააგვიანა საქართველოს მთავრობამ, ახლა კი ყველაფერი ორგანიზებული და მობილიზებულია. ღმერთის წყალობით, ჯერ კიდევ საშუალო და უფროსი თაობის ექიმების კვალიფიკაცია საკმაოდ მაღალია. ვფიქრობ, თუკი დავიცავთ სიფრთხილის წესებს და ყველა რეკომენდაციას, უნდა გადავრჩეთ ამ ძალიან საშიშ სიტუაციას. ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ჩვენ გვაქვს აუთვისებელი საკუთარი რესურსები, რასაც ჰქვია კვების პროდუქტები და სოფლის მეურნეობა, სადაც მიწების ნახევარი დაუთესავ-მოუვლელი იყო მუდამ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოს პირობებში ყველანაირი ბოსტნეული ირანიდან შემოგვქონდა.

ახლა გაზაფხულია და, თუ სოფლის მეურნეობის კუთხით შესაბამისი ღონისძიებები გატარდება, რამდენიმე თვეში შედეგი შეიძლება მივიღოთ. ჩვენ ვერ ვიქნებით იზოლირებული, ბევრი რამ უნდა ვიყიდოთ, რადგან სუსტი ეკონომიკა გვაქვს, მაგრამ ის, რაც გვაქვს, ამის გამოუყენებლობა უპასუხისმგებლობაა. სადაც შეგვიძლია, სხვა ქვეყნებზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი. ვფიქრობ, მთავრობამ ამ მიმართულებითაც უნდა გადადგას ნაბიჯი. დღევანდელ საშიშ სიტუაციაში ადამიანებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია პირველადი მოთხოვნის საქონელი. ყოველ შემთხვევაში, იმპორტის ის სტილი, რომელიც საქართველოში შემოდის, დაუშვებელია. ის, რომ 4000 ტონაზე მეტი ვაშლი შემოდის და ამ დროს სამხრეთ საქართველო და შიდა ქართლი მდიდარია ვაშლის რესურსის თვალსაზრისით, ეს არის სწორედ იმ მავნებლური პოლიტიკის შედეგი, რასაც ნეოლიბერალური ეკონომიკური დოქტრინა იძლეოდა. წლებია, ამ დოქტრინას ჩვენი ნეობოლშევიკები მისდევდნენ.

— დედაქალაქი მართლაც დაცლილია, რაიონებში არიან ახალგაზრდები, სტუდენტები გახიზნულნი, იქნებ, ახლა მაინც მიჰყონ ხელი სოფლის მეურნეობას.

— ამ მხრივ ხალხი გამოფხიზლდა. ამ ადამიანების თვალთახედვით რატომღაც ცუდად გამოიყურებოდა კავშირი სოფელთან, მაგრამ სწორედ სოფელი აღმოჩნდა ის ბუფერი, რომლითაც კრიზისულ სიტუაციაში თავი უნდა გაიტანონ. ასე იყო 90-იან წლებშიც, როცა სისტემა დაინგრა და ხალხმა სოფელს მიაშურა თავის გადასარჩენად. სოფლად ადამიანები კორონავირუსის საფრთხისგან იზოლაციაში იქნებიან, მიწა იმის საშუალებას იძლევა, თვეების განმავლობაში შედეგი მიიღონ. პატარა ტერიტორიაა საქართველო, ერთი ადგილიდან მეორემდე მისვლას სულ რამდენიმე საათი სჭირდება, ამიტომ ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომ ადამიანები იქაც იყვნენ და აქაც, ანუ კავშირი სოფელთან არასდროს უნდა გავწყვიტოთ. ბევრი რამ უნდა გადაფასდეს. ეპიდემია და პანდემია მსოფლიოში შემთხვევითი არ არის, ბევრი რამ უნდა გავიაზროთ, პირველ რიგში, უნდა გავიაზოთ სახელმწიფოს ფუნქცია რა არის. ჩვენ არ გვჭირდება ისეთი სახელმწიფო, ჩვენს სულებში რომ დაძვრება და ჭკუას გვასწავლის. ჩვენ გვჭირდება მკაცრად გამიჯვნა, რა არის სახელმწიფოს და კერძო სექტორის გასაკეთებელი. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს კერძო სექტორს, მაგრამ უნდა ავითარებდეს იმ საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდებას, რასაც ჰქვია განათლება, ჯანდაცვა...

ჩვენ მოვსპეთ ყველაფერი, სიცრუეზე ავაგეთ სახელმწიფო, ეს არ არის გონიერი საქციელი. ბოლშევიზმის ეპოქა დასრულდა და საქართველოში 1995 წლიდან დაიწყო ახალი ბოლშევიზმი, რომელიც ნეოლიბერალიზმის საბურველში იქნა გახვეული. ეს უბედურება მთელ მსოფლიოში იმარხება, სამწუხაროდ, საქართველო ჯერ კიდევ რჩება ნეოლიბერალურ ჭაობად. კორონავირუსი კი ბევრ რამეს გადააფასებს. ვისაც უნდა უყვარდეს ბიძინა, ვისაც უნდა უყვარდეს მიშა, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და უფრო მეტი სოლიდარობა უნდა გვქონდეს ერთმანეთის მიმართ, რადგან, უბედურების შემთხვევაში, ერთნაირად განწირულია ისიც, ვისაც ბიძინა უყვარს და ისიც, ვისაც მიშა უყვარს. ჩვენ გვაქვს ერთი ქოლგა, ერთი გარსი, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ჰქვია.

— კორონავირუსი ის იშვიათი შემთხვევაა, რომელიც ღარიბებსა და მდიდრებს ერთნაირად ემუქრება. ამ ვირუსმა თითქოს სოციალური თანასწორობა მოიტანა.

— ნახეთ, შეერთებული შტატები, ეს ფანტასტიკურად ძლიერი ქვეყანა, უძლიერესი ჯანდაცვის სისტემით და კლინიკით, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა, ნეოლიბერალური მიდგომების შემდეგ უსუსური აღმოჩნდა. მათ არ შეუძლიათ ტესტის ჩატარება კორონავირუსთან დაკავშირებით და სხვა ქალაქში უშვებენ ადამიანებს, სადაც ერთი კვირა ელოდებიან პასუხებს. ამ მცდარი მიდგომების გამო სისტემა ყველგან მოიშალა. ცხადია, კერძო სექტორს ვერ მოთხოვთ, მზად იყოს კატაკლიზმებისთვის, სახელმწიფოს გადარჩენისთვის, ეპიდემიებისთვის. ეს არ არის კერძო სექტორის საქმე, სახელმწიფომ უნდა მიხედოს იმას, რასაც კერძო სექტორი ვერასდროს მიხედავს. საქართველოში ჯერ კიდევ საკუთარ ბელადებს დასდევენ, რაც დიდი უაზრობაა, საფრთხემ გვიჩვენა, ვიყოთ სოლიდარულნი.

— რა თანხა უნდა ჩადოს სახელმწიფომ სოფლის მეურნეობაში, რომ მიწების დამუშავება მაინც მოესწროს?

— მსოფლიოში არის პრეცედენტები, მათ შორის, ევროპის სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენების, ამერიკის სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენების, ასევე, საინტერესოა, ამ კრიზისის გამო რუსებმა რა გააკეთეს, როგორი ღონისძიებები გაატარეს, ძალიან დიდი შედეგი აქვთ ამ მიმართულებით. ჩვენთან ყველაფერი გარკვეულია, არსებობს ძალიან კარგი კონცეფცია, შესანიშნავი ხედვა, უცხოელების აზრიც ცნობილია. ნუ ჩამითვლით ქედმაღლობად, მაგრამ მე ვხელმძღვანელობდი ამ კონცეფციას. უცხოელებმა ამას დაარქვეს ინოვაციური ბიოსოფლის მეურნეობა. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი რესურსი და არაფერ ახალს არ ვითვისებთ. ამის ნაცვლად იმპორტზე, კლანებსა და ხელისუფლებასთან ასოცირებულ ოლიგოპოლიურ მახინჯ ჯგუფებამდე დავიყვანეთ ყველაფერი. გინდ ატომური ბომბები ჰქონია სახელმწიფოს, გინდ სიმდიდრეში ჩამხრჩვალა, ჩვენს სინამდვილეში, ეს ბობოლები, რომლებიც ქვეყნის გაღატაკების ხარჯზე გამდიდრებულან და კვლავ ძარცვავენ საკუთარ ქვეყანას, ისევე განწირულნი არიან, როგორც ჩვენი გაჭირვებული მოქალაქეები. ამიტომ ყველაფერს სჯობს მოვლენების გააზრება, ეს ჩვენს საერთო მომავალს ეხება.

— საბანკო სესხების გადავადებაზეა საუბარი, ასევე, ტურიზმისა და სარესტორნო სექტორისთვის შეღავათების მიცემაზე.

— ამის გაკეთება აუცილებელი იყო. ეს არის საღი, ნორმალური ქცევა ხელისუფლების მხრიდან, თუმცა არ ვიცი, დიფერენცირება რატომ მოახდინეს ვადაგადაცილებულ სესხსა და არავადაგადაცილებულს შორის. ვადაგადაცილებული და გაჭირვებული რომ არის, მით უმეტეს, სჭირდება დახმარება, მაგრამ ასეთი შეღავათი მაინც კარგია. მახინჯი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქართული ეკონომიკა ტურიზმზე დავკიდეთ, რაც ეკონომიკურად და პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელია, რადგან უზარმაზარი რისკის შემცველია, მაგრამ ახლა უკვე ტურიზმის სფეროსაც სჭირდება დახმარება. უნდა გადავადდეს დავალიანებები, მთავარია, ის ბიზნესები გადავარჩინოთ, რომელთა გადარჩენაც შესაძლებელია. განადგურების შემდეგ ხელახლა ბიზნესის აწყობა მარტივი არ არის და დროს დავკარგავთ.

— ლარის კურსი უფასურდება, ჩნდება ეჭვი, რომ ვიღაც ყიდულობს დოლარს, ახდენს სპეკულირებას და ამ გასაჭირში ფულს შოულობს.

— არაფერი ახალი არ არის, ეს ჩვეულებრივი სპეკულაციაა, დავარდა ფასი, რაც თავიდან ბოლომდე ეროვნული ბანკის ბრალია. სწორედ ის უწყობს ხელს ე.წ. არბიტრაჟული ოპერაციების განხორციელებას. საქართველოს ბაზრები არ არის კონკურენტული. ერთი და იგივე საქონელი ერთსა და იმავე ბაზარზე განსხვავებული თანხით ფასდება, კომერციული ბანკები ეროვნული ბანკიდან ყიდულობენ ვალუტას გაცილებით დაბალ ფასად, რომელზეც მოთხოვნა გარე ბაზარზე დიდია. ეს ქმნის იმას, რასაც ჰქვია არბიტრაჟული ოპერაცია, ანუ ერთ ადგილზე ყიდულობთ იაფად და მეორე ბაზარზე ძვირად ყიდით. სწორედ ამას აკეთებენ და ამას ხელს უწყობს ეროვნული ბანკი. აშკარად სპეკულაციური რამ მოხდა, იყიდეს დაბალ ფასად დოლარები და მაშინვე ავარდა ფასი ზევით. არ არსებობს არც ერთი წესიერი პროფესიონალი, რომელიც დაასაბუთებს იმას, რომ კურსის გამყარება და შემდეგ ასეთი ვარდნა რაიმე ეკონომიკური ან სხვა მოსაზრებებით იყო განპირობებული. ეს იყო მიზანმიმართული, „მშვენიერი“ სპეკულაციური ოპერაცია.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის თსუ 322-ე ადგილზეა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი U.S.News&World Report-ის 2020 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში (Best Global University Ranking) 113 პოზიციით დაწინაურდა და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში, ტარტუს უნივერსიტეტთან (ესტონეთი) ერთად 322-ე ადგილს იკავებს.

როგორც უნივერსიტეტში აცხადებენ, თსუ საუკეთესო უნივერსიტეტების 1,5%-ში შედის. ამასთან, დარგობრივი რანჟირებით თსუ-მა ფიზიკის მიმართულებით 22 პოზიციით გაიუმჯობესა რეიტინგი და 256-ე ადგილს იკავებს.

„რეიტინგში თსუ ყველა უნგრულ და რუმინულ უნივერსიტეტზე წინ დგას და დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მრავალ უნივერსიტეტზე უკეთეს პოზიციას იკავებს;

რანჟირება 13 კრიტერიუმის მიხედვით ავლენს მსოფლიოს 1500 საუკეთესო კვლევით უნივერსიტეტს 81 ქვეყანაში. კავკასიის რეგიონიდან კრიტერიუმები მხოლოდ თსუ-მა დააკმაყოფილა;

მსოფლიოს 325 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის პოსტსაბჭოთა სივრციდან თსუ-ის გარდა მხოლოდ ორი უნივერსიტეტია: ტარტუს უნივერსიტეტი და ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გილოცავთ, კოლეგებო!

დღეს ქართული ჟურნალისტიკის დღეა

დღეს 21 მარტია, ქართული ჟურნალისტიკის დღე...

1993 წლიდან, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, ჟურნალისტთა პროფესიულ დღესასწაულად დადგინდა 201 წლის წინ გამოცემული პირველი ქართული გაზეთის დაბადების თარიღი. პროფესიული დღესასწაული განსაკუთრებულად ლამაზი დღეა ჩვენთვის და იგი სხვადასხვა ღონისძიებით და აქტივობით აღინიშნება, რომლის კულმინაციაც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში გამართული საზეიმო სასწაულო შეხვედრა და გამორჩეული, თვალსაჩინო კოლეგების სხვადასხვა პრემიით, დიპლომებით და სიგელებით პატივგება-დაჯილდოებაა...

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით წელს არ გაიმართება ხალხმრავალი ღონისძიებები, ჩვენი კოლეგები მას ყოველდღიურ, დაძაბულ რეჟიმში შეხვდებიან და ზეიმით მაშინ ვიზეიმებთ, როცა ყველანი ერთად, საკუთარ თავში, საკუთარ სამუშაო ადგილზე, სტრუქტურებთან და მედიცინის გმირ მუშაკებთან ერთად მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით დავამარცხებთ ვირუსს, რომელმაც მსოფლიოს დღის წესრიგი შეცვალა. ქართული სახელმწიფო, ქართველი ექიმები, ეფექტური და სწორად წარმართული სტრატეგიით მოქმედებენ და ეს განსაკუთრებულად აღინიშნა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, უპირველესად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხრიდან.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა საჭიროდ მიიჩნია, პირველ რიგში, სათანადოდ დააფასოს ქვეყნის გადარჩენისთვის წინა ხაზზე მებრძოლი მედიკოსების ღვაწლი, ამასთანავე, ბუნებრივია, კავშირი არ ღალატობს ტრადიციას და დამსახურებული ჯილდოებითა და პრემიებით აღნიშნავს კოლეგების მოღვაწეობას.

ვაქვეყნებთ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც, გავრცელდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაში, მათ შორის ბეჭდურ მედიაში.

მაღალი პროფესიონალიზმისა და თავდადებისთვის COVID-19 პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის **„მადლიერების დიპლომით“** *ჯილდოვდებიან ბატონები: პროფესორი* **ამირან გამყრელიძე** *— დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი; პროფესორი* **თენგიზ ცერცვაძე** *— ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორი; პროფესორი* **პაატა იმნაძე** *— დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე.*

ასევე, დიპლომი „მაღალი პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერებისთვის“ გადაეცემა ცნობილ ადვოკატს, ქალბატონ ***მონიკა რუხაძეს****. ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით დაჯილდოვდნენ ცნობილი ჟურნალისტები:* **არჩილ გოგელია, მარინე გიგინეიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ტურაბელიძე, ბონდო მძინარაშვილი.**

პროფესიაში მრავალწლიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიენიჭათ ჟურნალისტებს: **ქეთევან ძებნიაურს, მანანა კარტოზიას,ნანა ჭიჭინაძეს, ავთანდილ ბერიძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, ოთარ გაგუას, ზურაბ აბრალავას, ვახტანგ კობაიძეს.**

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სერგეი მესხის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა მონოგრაფიის — „ჟურნალისტიკა“ — ავტორთა ჯგუფი (მონოგრაფიის იდეის ავტორები პროფესორი **მარინე ვეკუა** *და პროფესორი* **ჟილ რუე***).*

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა, პრეზიდიუმი, თავმჯდომარეები ვულოცავთ კოლეგებს ქართული ჟურნალისტიკის დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და გამარჯვებებს!

იძილდვიძილეთ მაინცა, ხალხნო!

სიტყვა მეგობარ მწერალზე

ცნობისმოყვარეობით დაუღლელი მკითხველი უთუოდ კარგად იცნობს ჩინებულ მწერალსა და პოეტს ვანო ჩხიკვაძეს, რომელმაც მრავალთ გულწრფელად შეაყვარა თავი, უწინარესად, ქართული ენისა და ყოველივე ქართულის სიყვარულით. ვანოს სიტყვას ჭეშმარიტად ქართული ავალა აქვს, ქართული სულისკვეთება და გულისკვეთება.

ახლახან გამოვიდა ვანო ჩხიკვაძის კიდევ ერთი ახალი წიგნი ქიზიყური „ბელკანტო“. ქვემოთ გთავაზობთ რედაქტორის წინათქმას:

„ძმაო და ბატონო ვანო!

რა კარგი პოეტი ხარ და პროზაც რა ლაზათიანად მოგდევს! გულწრფელად გეტყვი — შენი ჭეშმარიტი ფასი, როგორც დიდი ქართველი მწერლისა, მომავლის საქმეა! სინამდვილეს ამის ილაჯი არ გააჩნია. თხემით ტერფამდე ქართველი მწერალი ხარ და ქართული სულიერების მეციხოვნედ დგახარ მანდ, ჩვენი ძველი ციტადელის — გორის ციხის მახლობლად. მითქვამს და გავიმეორებ: ყველაზე დიდი მადლი სამშობლოსთვის გაღებული მადლია. შენ სწორედ ამისთვის იღვწი: „ენა, მამული, სარწმუნოება“ გინთია სულის სანთლად!

ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს!

ღმერთმა აგისრულოს შენი ოცნება და ჩანაფიქრი!“

საბედნიეროდ, ეს სიტყვები ჩემი არაა! მავანმა, შესაძლოა, გაიოცოს — რატომ საბედნიეროდო!

იმიტომ რომ... მე რომ დამეწერა, ანუ მე რომ ამდაგვარად შემეფასებინა საქვეყნოდ ცნობილი მწერალი, არაერთი ლიტერატურული პრემიის (მათ შორის ეროვნული პრემიის) ლაურეატი ვანო ჩხიკვაძე, საზოგადოება ჩვეულებრივ ლიქნად ჩამითვლიდა, რადგან ტოლობა იქნებოდა შეუსაბამო, რადგან დიდის და გამორჩეულის შემცნობელი და შემფასებელი თავადაც დიდი უნდა იყოს („გულს გული იცნობს და ღონეს ღონე“); სხვანაირად — მკითხველს გაეღიმება...

ამაოდ დაშვრება, ვინც ამ სიტყვებს იმერულ გალანტურობად ჩაგვითვლის!

ასე რომ, ზემომოხმობილი ბარათის ადრესატი დიდი ქართველი მწერალი **ჭაბუა ამირეჯიბია**. „შენი ძმა — ჭაბუა ამირეჯიბი — ბერი დავითი. თბილისი. 22.06.2011“.

რა დასამალია და, ეს განყენებული ცნება — „რედაქტორისაგან“ — ერთგვარ რეკლამირებას გულისხმობს და, გამონაკლისი, როგორც იტყვიან, არც წინამდებარე ტექსტია: ვისაც მაღალმხატვრული ქმნილების დაგემოვნება და, რაც უმთავრესია, ეროვნულ ფასეულობებზე ლამის ძილშიაც მოჭირისუფლე ქადაგის მოსმენა რამედ გიღირთ, — გაგმართლებიათ და ეგაა!

წიგნი არც ხილია და არც — საკვები, ფასის მიხედვით რომ ივარაუდოთ მისი ავკარგიანობა.

ხილი აუცილებლად უნდა იხილოთ და ამ გზით შეაფასოთ; წიგნს, სხვა გამოსავალი არაა, თვალი მაინც უნდა გადაავლოთ, ხოლო თუ ორიოდ აბზაცს მაინც ჩაიკითხავთ, მიხვდებით — ვისთან და რასთან გაქვთ საქმე!

ცხონებულ ოტია იოსელიანს, მოგეხსენებათ, ხატოვანი არგუმენტაციები ემარჯვებოდა. **„მე, რა ჰქვია, მაინძელი რომ სიხარულით შემომეგებება და ქვევრს სახელდახელოდ მომიხდის, წელწყვეტილა ჭიქით ზედაშეს მომაწვდის, ჯერ ეს გამისინჯეთ და, თუ არ მოგეწონოს... მოვწრუპავ ორიოდე ყლუპს და მკმარის. თხლემდე კი არ ჩავდივარ, ავკარგიანობა რომ გავუგო!..“**

ჩვენც ცოტა ვიკმაროთ: „სადღაც, მიყრუებულ დაბაში, ლიტერატურული საღამოს შემდეგ, გაშლილ სუფრასთან მიგვიწვიეს. ცოტა ხნის შემდეგ მუსიკა ჩართეს და ახალგაზრდები საცეკვაოდ წამოვიშალენით.

ცეკვა მარტივია, ისეთი, ყველას რომ შეუძლია. მთავარია, გოგოს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჭვინტიდან თავგამოყოფილ, წითელმანიკურებიან თითებს, როგორც ალუბლის კუნწულას, ფეხი არ დააბიჯო!“ (მოთხრობა „პარაპეტი“).

ალუბლის კუნწულა! ვანო მხატვრული შედარებების დიდოსტატია.

მავანს შეეძლო, უკუნწულოდ გასულიყო ფონს და ეთქვა: მთავარია, გოგოს შიშველ ფეხის თითებზე არ დააბიჯოო!

ვანო არ გიყვება ამბავს, ის ექსკურსიამძღოლივით დაგატარებს მოვლენის ეპიცენტრში და ისეთი ექსტაზით გიხატავს, ვთქვათ, პეიზაჟს, რომ თითქოს შენც პლაჟზე წამოწოლილხარ და ტალღების ტლაშუნი სასიამოვნო ჟრუანტელს გგვრის; ან ისე „ჩაგახუტებს“ ლირიკულ გმირს, ლამის მასთან ერთად ნეტარებ თუ ნერვიულობ, ჭირვეულობ თუ ორჭოფობ, იმასავით გულს გეფონება თუ სულს გიმსჭვალავს...

დახელოვნებული არ იკმარებს, ჯადოსანი მზარეულივით გხიბლავს, როდესაც ნებისმიერი მოვლენის თანაზიარს გხდის. არა მარტო იმით გაოცებს — რა მდიდრულ სანელებლებს იყენებს, არამედ იმითაც, — თუ რას რა დროს უკეთებს! მისთვის ყოველი დეტალი მნიშვნელოვანია, როდესაც ტექსტს „კმაზავს“. ეს ისაა, რაიც ნამდვილად არ ისწავლება და არც ვარჯიშით მოდის. ეს თანდაყოლილი, მხოლოდ გამორჩეულთა წილხვედრი გუმანია, ალბათ.

და ეს იმ ფონზე, როდესაც თანდათან გახშირდა ესენციების გამოყენება ნატურალური წვენების წილ. კულინარიაშიც და გემოკვების ინდუსტრიაშიც. ნუ იტყვით და თურმე მარცვლოვანი შავი ხიზილალა ნავთობისგანაც მზადდებაო!

ჰოდა, ლიტერატურაშიც იგრძნობა, შიგადაშიგ, მსგავსი „ნოვაციები“.

ამ წიგნის ავტორს კი ხელოვნური არაფერი გამოსდის. ვერ ეგუება იმიტაციებს. მისთვის იმიტატორობა მოსაწყენი ხელობაა და კომენტატორობაც!.. მხოლოდ და მხოლოდ, ხატავს და შენც ვერნისაჟზე გრძნობ თავს ან გარინდებული უსმენ, ვთქვათ, იოზეფ შტრაუსის „ავსტრიის სოფლის მერცხლებს“. ხედავ, როგორ შემართა დირიჟორმა ჯოხი, და როგორ გაისუსა სცენაც და დარბაზიც. სუნთქვაშეკრულია ვოლტორნაც, საქსაფონიც, საყვირიც. წამიერად გაგიელვებს თავში — ქართველებსაც რატომ არა გვაქვს ისეთი მრავალფეროვნება მუსიკალური ინსტრუმენტებისა, როგორც ევროპელებს?! მაგრამ გახსენდება, რომ არ გვესაჭიროებოდა და იმიტომ!

ჩვენ ჰამლეტ გონაშვილის ყელი გვქონდა ყველა დროსა და ყველა საუკუნეში!

სულისშემძვრელია „ქიზიყური ბელკანტოს“ ფინალი.

„ხორნაბუჯი... სამყაროს ერთ-ერთი საოცრება, რომლის მისადგმოებთან, წელამდე ბალახს, ალაგ-ალაგ ყვითლად მოსდებია ფერიფქლა, ქვათესლა, ზოგან ყაყაჩო და თეთრგვირგვინიანი გვირილაც ყელყელაობს.

ყველაფერი დუმს, ნაშუადღევის სიცხეს მიუსავათებია თუ სხვა ამოუხსნელი მოლოდინით გარინდებულან შავ-თეთრად დაჭორფლილი ლოდები.

ავდივართ, ავდივართ...

ავაღწიეთ, ავმაღლდით და... ციხე კი არა, ზეცას მხარშედგმული ატლანტია!

სხვა რომელი მწვერვალის და კოშკის სიმაღლიდანაც უნდა გადმოიხედო, ეიფელის თუ პიზის, ჯომოლუნგმას თუ კილიმანჯაროსი, იმას ვერ დაინახავს „ცოცხალი წიგნის“ ავტორი, რასაც — ხორნაბუჯიდან! იმ ჟრუანტელს ვერ იგრძნობს, აქედან გადამზირალს რომ წამოგაძახებინებს:

— ეს არის, ბალღო, შენი სამშობლო!..

ვის, ვის და სიფხიზლისკენ მომწოდებელი ეს უკვდავი ფრაზა, პირველ რიგში, „ცოცხალ წიგნებს“ უნდა ახსოვდეთ!

ახლა კი, როგორც ზღაპარშია, ჩვენც ისე დავამთავროთ:

ელასა — მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა!

ვაჰ, კაცო, კიდევ ძილი?!.“

რა ძილქუში დაგეცათ, მკითხველნი იქნებით თუ მსმენელნი!

იძილღვიძილეთ მაინცა, ხალხნო!

გიზო ზარნაძე

◎ „დარჩი სახლში“!

„ბასკონიადან“ დაბრუნებულ კალათბურთელთა მოწოდება

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და კორპორაცია “სასკი ბასკონიას“ თანამშრომლობის ფარგლებში ესპანეთში მყოფი ქართველი კალათბურთელები კორონავირუსის საფრთხის გამო სამშობლოში დაბრუნდნენ.

ბოლო წლებში „ბასკონიაში“ მოვარჯიშე ახალგაზრდები- გუგა ნაცვლიშვილი, ვატო გაჩეჩილაძე, ლუკა ლიკლიკაძე, გიორგი ჭიჭინაძე, სანდრო კასაბური და გეგა წულაია კალათბურთის ფედერაციის უზრუნველყოფით საქართველოში დროულად დაბრუნდნენ და თვითიზოლაციაში იმყოფებიან.

მოზარდი კალათბურთელები თავს კარგად გრძნობენ და მიუხედავად ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი განშორებისა, მკაცრად იცავენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და შესაბამისი უწყებების მიერ დადგენილ თვითიზოლაციის წესებსა და რეგულაციებს.

ჭაბუკი კალათბურთელები საკუთარ მაგალითზე სპორტისა და სხვა სფეროების წარმომადგენლებსაც მოუწოდებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოჩენისა და საჭიროების შემთხვევაში, თვითიზოლაციაში ყოფნისკენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ახლო წარსულიდან

კურცხალი

2004 **წელს** ათენში ოლიმპიურ თამაშებს ვესწრებოდი. ერთ დღეს შეჯიბრებების შემდეგ გეზი გლიფადის დიმარხიოსკენ ავიღე — „ქართულ სახლში“ ჩემპიონებს უნდა შევხვედროდით. უკვე ბინდდებოდა და უცხო ქალაქში ორიენტაცია გამიჭირდა, ჩემი დამტვრეული ინგლისურით კი ტროლეიბუსის მძღოლს ვერაფერი გავაგებინე. ამ დროს ზურგს უკან მჯდომმა მანდილოსანმა, რუსული თუ იციო, მკითხა. ჩემი გასაჭირი რომ გაიგო, ფანჯრისკენ მიიჩოჩა და ადგილი დამითმო — მეც იქით მივდივარ და გეტყვით, სადაც უნდა ჩახვიდეთო.

საუბარს შევყევით.

— თქვენც ოლიმპიადაზე ჩამობრძანდით? — ვკითხე ლუბას.

— ასეთი ბედნიერება ვინ მომცა, — მითხრა ნაღვლიანი ღიმილით. — მეხუთე წელიწადია, ათენში სამუშაოდ ჩამოვედი.

— რას საქმიანობთ?

— როგორც ყველა, მოხუცებს ვუვლიდი. ახლა ერთ მდიდარ ქალბატონს ვემსახურები და მის ფინიას არ ვაკარებ ცივ ნიავს. — მწარედ ჩაეცინა. — თავად დასასვენებლადაა წასული. დღეს ხუთჯერ მაინც დამირეკა, თუ ასეირნე და აბანავეო... ძაღლის ბედი რომ შეგშურდება ადამიანს...

— ოჯახი გყავთ?

— უკრაინაში ქმარი და ორი შვილი დავტოვე. ქალიშვილი 21 წლისაა, ლამაზი, ჭკვიანი. ბიჭი თექვსმეტისაა...

— მერე?!

— რა მერე, მე შემომჩერებიან, მუშაობა არცერთს არ უნდა. მეუღლე მაშინაც ლოთი და უსაქმური იყო. ბიჭიც მის კვალზე წასულა. თამაშობსო, მითხრეს. უდედოდ, აბა, რა იქნება... გოგოს რა ეშველება, არ ვიცი.

— შინ დაბრუნება არ გიცდიათ?

— „ჩემი მეორე ნახევარი“ დამემუქრა, ჩამოსული არ გნახო, თორემ თავს მოგაჭრიო... იმ მუდრეგთან ცხოვრებას კიდევ აქ წვალება მირჩევნია.

— გარჯას გიფასებენ მაინც?

— რას ამბობთ!.. სახარჯო რომ შემოელევათ, მხოლოდ მაშინ ვახსენდები ყველას. ამას წინათ ფულის გაგზავნა შემაგვიანდა. ქმარმა დამირეკა და უშვერი სიტყვებით ამიკლო.

— ნუ გედარდებათ, მის გინებას უპასპორტოდ საზღვარზე მაინც არ გამოატარებენ.

გაეღიმა.

— დღეს დაბადების დღე მაქვს. მე კი ერთი ნაცნობის ოჯახში ვიყავი, სახლი დავულაგე, დავრეცხე, დავაუთოვე, რომ 50 ევრო გამომემუშავებინა...

ლუბამ ღრმად ამოიხვნეშა და ზღვისფერი თვალებით ბინდშეპარული ქუჩა შეათვალიერა. უნებურად მისკენ გადავიხარე და ლოყაზე ვაკოცე.

— დაბადების დღეს გილოცავთ!

არ მოელოდა. გამჭოლი მზერა მომაპყრო. ღაწვებზე ორი მსხვილი კურცხალი გადმოუგორდა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ბურთი ყელში მოებჯინა და ხმა ვერ ამოიღო.

დავამშვიდე. სული მოითქვა.

— არავის გავხსენებივარ... თქვენ პირველმა მომილოცეთ დაბადების დღე. გმადლობთ...

მალე დიმარხიოსაც მივაღწიეთ. ლუბას დავემშვიდობე. თვალები კურცხლებით ჰქონდა სავსე.

გული დამეწვა.

ვაჟა დანელია

◎ ჩოგბურთი

„როლან გაროსი“ შემოდგომაზე გაიმართება

კორონავირუსმა „როლან გაროსი“ გადადო. მისმა ვებ-გვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ დიდი სლემის ტურნირი შემოდგომაზე გაიმართება.

„კორონა ვირუსის გამო მსოფლიოში ბევრი რამე შეიცვალა ტურნირის გადადება მოგვიწევს, რადგან ამ პერიოდში მოსამზადებელ სამუშაოებს ვერ ვაწარმოებთ. ჩვენი თითოეული თანამშრომლის ჯანმრთელობა უპირველესია, ამიტომ გადავწყვიტეთ ტურნირი 20 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ჩავატაროთ. მართალია, წინასწარ ყველაფრის თქმა რთულია, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არის ჩვენი გეგმა. გულშემატკივრებს, ვისაც ბილეთები უკვე ნაყიდი ჰქონდათ, შეუძლიათ, თანხა დაიბრუნონ ან ბილეთები დაიტოვონ“ — აღნიშნულ განცხადებას „როლან გაროსის“ ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

კობა კობახიძე

◎ ტოკიო 2020

სოლიდარობა გვაძლიერებს

ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით გამართულ ვიდეოკონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტმა თომას ბახმა და ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებმა განიხილეს ვერაგ გამოწვევასთან დაკავშირებული საკითხები. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ IOC-ის სამედიცინო და სამეცნიერო დეპარტამენტის დირექტორი რიჩარდ ბაჯეტი და IOC-ის სპორტული დირექტორი კიტ მაკკონელი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დღეს მსოფლიოში შექმნილი ვითარება უნიკალური და განსაკუთრებულია. IOC 24-საათიან რეჟიმში აწარმოებს სიტუაციის მონიტორინგს. ჯერ კიდევ თებერვალში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი IOC-ის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ტოკიოს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისა და იაპონიის მთავრობის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამ ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს ყველა პარტნიორი ორგანიზაციის კოორდინირებული საქმიანობა სიტუაციის შეფასებისა და აუცილებელი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით.

„დღეს ჩვენი ნომერ პირველი პრიორიტეტია ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მზადებაში ჩართული ყველა ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ყველა სათანადო ზომას ვღებულობთ, რათა დაცულ იქნას სპორტსმენების, მწვრთნელებისა და გუნდების სხვა წარმომადგენლების უსაფრთხოება და ინტერესები. ჩვენ წარმოვადგენთ ოლიმპიურ საზოგადოებას და მხარს ვუჭერთ ერთმანეთს როგორც მშვიდობიან, ასევე ძნელბედობის ჟამს. სწორედ ეს ოლიმპიური სოლიდარობა აძლიერებს ჩვენს საზოგადოებას,“ — აცხადებს თომას ბახი.

კორონავირუსის პანდემიის გამო შეიცვალა მარტსა და აპრილში დაგეგმილი სალიცენზიო შეჯიბრებების ფორმატი და განრიგი, ისევე როგორც ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის ცალკეული ელემენტები.

IOC კვლავ მოუწოდებს სპორტსმენებს განაგრძონ ოლიმპიადისთვის მზადება შესაძლებლობების ფარგლებში.

გუშინვე შესაბამისი განცხადება გააკეთა ევროპის ოლიმპიურმა კომიტეტებმა(EOC), რომელშიც ნათქვამია, რომ EOC მხარს უჭერს IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და გამოთქვამს რწმენას, რომ ერთობლივი შეთანხმებული მუშაობით შესაძლებელი იქნება კრიზისის დაძლევა და ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოდ ჩატარება.

ბეჟან დოლიძე

კახა კალაძე: ჩვენი ვალია, გამოვიჩინოთ ზრუნვა ხანდაზმულებზე

ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ როგორი ჰუმანურია, როგორი სოლიდარულია ჩვენი საზოგადოება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

„დღეს ჩემ გვერდით არიან გოგონები, ოთხი მარიამი, რომლებმაც სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შექმნეს საინიციატივო ჯგუფი – „დავეხმაროთ მოხუცებს“ და მეგობრებს, თანამოაზრეების ჩართულობით, უმოკლეს დროში შეძლეს თბილისში მცხოვრები 600-მდე ხანდაზმული ადამიანისთვის შეეძინათ პროდუქტი, მედიკამენტები, ჰიგიენის საშუალებები. ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ როგორი ჰუმანურია, როგორი სოლიდარულია ჩვენი საზოგადოება. მინდა, ამ ლამაზ გოგონებს, ასევე თითოეული ზარის ავტორს, თითოეულ ადამიანს, ვინც საკუთარი წვლილი გაიღო სხვათა დასახმარებლად, ვუთხრა გულითადი მადლობა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თუ საჭიროება იქნება, საზოგადოებრივი ტრანსპორტიც გაჩერდება!

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტიც არ იმოძრავებს. ამის შესახებ მან ბრიფინგის დროს განაცხადა.

„დღეს ამ ეტაპზე ეს გადაწყვეტილება არაა მიღებული, თუმცა ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს სრული ინფორმაცია და ვაკვირდებით. თუ ამის საჭიროება იქნება, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტიც გაჩერდება“, – აღნიშნა კალაძემ.

რამდენიმე დღის წინათ სამარშრუტო ტაქსებით მოძრაობა აიკრძალა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მიკროავტობუსის მცირე სივრცე კორონავირუსის გამო საფრთხის შემცველია. მიკროავტობუსებით გადაადგილება უკვე აიკრძალა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. ასევე, სამარშრუტო ტაქსები შეზღუდულად მოძრაობენ სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში.

ყველამ, ვისაც გჭირდებათ ექიმი, მიმართეთ რესპუბლიკურ საავადმყოფოს!

ჯანდაცვის სამინისტრო თბილისში რესპუბლიკურ საავადმყოფოში „ემერჯენს ცენტრს“ ქმნის. როგორც უწყებათაშორისი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა, ასეთი გადაწყვეტილება მოქალაქეთა გაზრდილი მიმართვიანობიდან გამომდინარე მიიღეს.

„ჩვენი მოქალაქეების მიმართვიანობიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თბილისში, რესპუბლიკური საავადმყოფო საგანგებოდ მიიღებს პაციენტებს და ეს იქნება ემერჯენს ცენტრი. „ყველა მოქალაქემ, რომელსაც გაგაჩნიათ საჭიროება, რომ მიმართოთ ექიმს, მიმართეთ რესპუბლიკურ საავადმყოფოს, სადაც პაციენტებს სრულად გამოიკვლევენ და შემდეგ გადაამისამართებენ. იქნება ეს საკარანტინო ზონა, თვითიზოლაცია, თუ ოჯახის ექიმი“, – განაცხადა მინისტრმა.

პარლამენტარო სიცხე ხომ არ გაქვს?!

პარლამენტის შენობაში შესვლამდე ყველა პირს, მათ შორის დეპუტატებსა და აპარატის თანამშრომლებს სიცხეს უზომავენ. როგორც imedinews-ს პარლამენტში განუცხადეს, ეს პრევენციული ზომების ნაწილია.

გარდა ამისა, პარლამენტის თანამშრომლებმა SMS შეტყობინებებიც მიიღეს. **„ძვირფასო აპარატის თანამშრომლებო, კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსვლა განხორციელდება მხოლოდ C-კორპუსის ზედა შემოსასვლელიდან. შემოსვლისას დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მეშვეობით**

განხორციელდება სპეციალური სიცხის საზომი მოწყობილობის საშუალებით თქვენი შემოწმება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება“, – წერია შეტყობინებაში.

ს/კ „კათარზისის“ 2019 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ეს არის ყოველდღიური, სისტემატური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო, ვიდეო მასალა და აქტივობა შეგიძლიათ იხილოთ FB გვერდზე „ასოციაცია კათარზისი“, მის ვებგვერდზე, მისამართზე: Catharsis.ge (ამჟამად გვერდი განახლების რეჟიმშია).

ორგანიზაციას აქვს თავისი პატარა სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე, სადაც იმ ადამიანთა დაკრძალვა ხდება, ვინც ბოლო მიწიერ საქმეშიც ღვთის ანაბრად არიან დარჩენილნი.

სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა და 2019 წლის ნოემბრიდან ყოველდღიურად 340 ადამიანს ემსახურება. ის 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. კვების პროცესი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით, მიუხედავად რელიგიური თუ საერო დღესასწაულებისა. სადილი იწყება 12-30 წუთზე და გრძელდება 15-00 საათამდე. მენიუ მრავალფეროვანია, კვირაში ორჯერ გათვალისწინებულია საქონლის, ქათმის ხორცის ან თევზის პროდუქტები. სადილები მზადდება სეზონური პროდუქტების გათვალისწინებით. მენიუს ადგენს სპეციალური კომისია. მისი ძირითადი კერძებია : 1 - სალათი, 2 - წვნიანი, 3 - ბურღულეული სხვადასხვა დანამატებით, წვენი (ჩაი, კისელი, კომპოტი, კაკაო ან ლიმონათი) და პური. პერიოდულად ხანდაზმულებს ვთავაზობთ ხილს და ტკბილეულს. სპონსორის შემოწირულობით და ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით ერთი დღის სადილის თანხა 425 ლარს შეადგენს.

მთელი წლის განმავლობაში სპონსორების მიერ ფინანსდებოდა 1, 2, 3 და ა.შ. დღის სადილები. ეს ორგანიზაციები ხშირად სტუმრობდნენ „კათარზისს“, მონაწილეობას იღებდნენ სადილობის პროცესის მიმდინარეობაში და ემსახურებოდნენ ხანდაზმულებს. 2019 წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 102.000-მდე მომსახურება.

სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური

სავარჯიშო დარბაზი მოწოდებულია დაავადებების პრევენციისათვის, სარეაბილიტაციო კი - გადატანილი სნეულებების შემდგომ (ინფაქტი, ინსულტი, ხერხემლის პათოლოგიები და ა.შ.) აღდგენისათვის. ასეთი დახმარების მიღების ფინანსური შესაძლებლობა მოსახლეობის ამ კატეგორიას არ გააჩნია და არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული. ექიმი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობისათვის შესატყვის ვარჯიშებს და სამკურნალო მასაჟს. პროფესიონალი მეთოდისტ-მასაჟისტი ხელმძღვანელობს სავარჯიშო დარბაზში მიმდინარე პროცესებს. სათნოების ძმები ეხმარებიან მოხუცებს რეკომენდაციების სწორად განხორციელებაში. 2019 წლის განმავლობაში ხანდაზმულებს ყოველდღიური მომსახურება გაეწია 3268-ჯერ, ხოლო სამასაჟო მომსახურებამ - 700-ზე მეტი შეადგინა. იგეგმება ამ სერვისის განვრცობა ქალაქის სოციალურად დაუცველი იმ ხანდაზმულებისათვის, ვინც არ არიან „კათარზისის“ ბენეფიციარები.

იურიდიული სამსახური

მუშაობს კვალიფიციური იურისტი, რომელიც კვირაში 3 დღე ემსახურება კათარზისის ბენეფიციარებს. მისი მოვალეობა ძირითადად საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება. ამასთან, ასწავლის მათ განცხადების შესაგებელის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს. უწევს კონსულტაციებს საკუთარი უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რათა არ გახდნენ რაიმე ტიპის ძალადობის ან თაღლითობის მსხვერპლნი. საჭიროების მიხედვით იურისტი ერთვება ხანდაზმულძთა სამართლებლივ დავებშიც. 2019 წლის განმავლობაში იურიდიულმა სამსახურმა გაწია 1060 მომსახურება.

კაფე

კაფე „ჯული“ „კათარზისში“ ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია. ყოველდღიურად მას საშუალოდ 200-მდე ხანდაზმული სტუმრობს. მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ის ადგილია, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, მიირთვან ტკბილეული (ორცხობილა, ნამცხვარი, კანფეტი). აღნიშნონ დაბადების დღეები, სხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, მიიღონ სტუმრები. კაფე მუშაობს ყოველდღე, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში.

კაფე ატარებს დიზაინერ ჯული სუხიშვილის სახელს, ვინც ღრმა სიბერემდე ემსახურა „კათარზისს“, ხანდაზმულებს და ქველმოქმედებას. კაფეს 2019 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 57355 მომსახურება.

რელაქსაციის ოთახი

ეს არის სპეციალურად მოწყობილი ოთახი უდიდესი, ულამაზესი გალიით, სადაც ამადინების (ფრინველის სახელწოდება) რაოდენობა დღეისთვის 80-ზე მეტია (თავდაპირველად 20 იყო). 2019 წელს მთლიანად განახლდა გალია და დაემატა ბუდეები. ჩიტების ჟღურტული სიმშვიდისა და განტვირთვისათვის საუკეთესო გარემოს ქმნის.

სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონში 2019 წელს აღრიცხულია 978 მომსახურება.

ბიბლიოთეკა

„კათარზისის“ ბიბლიოთეკაში წიგნების მდიდარი ფონდია როგორც შინაარსით, ისე ოდენობით (5000-მდე ეგზემპლიარი). არის წიგნები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, აგრეთვე, ადგილობრივი პრესა. აქვე მუშაობენ წრეები ინტერესების მიხედვით: ხანდაზმულთა მიერ გამოიცა გაზეთ „აისიდან დაისამდე“ 6 ნომერი; ფუნქციონირებს საზოგადოებრივ - ლიტერატურული სალონი „საპოვნელა,“ რომლის ფარგლებშიც ხდება შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან; ბოლო ერთ წელიწადში 14 ასეთი ღონისძიება გაიმართა. აგრეთვე, ეწყობა ბენეფიციართა შემოქმედებითი საღამოები, მათი ავტორობით გამოცემული წიგნების პრეზენტაცია-განხილვები. 2019 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ 6625 მომსახურება გაწია.

გარდერობი

გარდერობში ბენეფიციარებს და ორგანიზაციის სტუმრებს მთელი დღის განმავლობაში შეუძლიათ შეინახონ ტანსაცმელი, ჩანთები და ნებისმიერი ნივთი, რომელიც მათ ხელს შეუშლის შენობაში გადაადგილებაში. გარდერობში მორიგეობს სათნოების ძმა (alternatiuli სამხედრო მოსამსახურე), რომელიც მუდმივად იმყოფება ამ სივრცეში და პასუხისმგებელია ნივთების უსაფრთხოებაზე. გარდერობი გათვლილია 200-მდე ბენეფიციარის ერთდროულ მომსახურებაზე. 2019 წლის განმავლობაში გაწეულია 6948 მომსახურება.

ექიმი

საექიმო კაბინეტი და უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს „კათარზისის“ მომსახურებით, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. აქ ხორციელდება პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა. რთული შემთხვევების დროს ექიმი იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. აგრეთვე, პერიოდულად ხორციელდება ხანდაზმულთა უფასო გამოკვლევები სამედიცინო დაწესებულებებში ინდივიდუალური მიმართვების გზით. 2019 წლის განმავლობაში სამედიცინო სამსახურმა 5968 მომსახურება გასწია.

თავშესაფარი

თავშესაფარი ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, არტ.თერაპიის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ სახელოვნებო კოლექტივები.

კინოდარბაზი

ერთ-ერთი სასიამოვნო და საჭირო სამსახურია ხანდაზმულებისათვის. კინოდარბაზი 30 ადამიანზეა გათვლილი. მოხუცების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება ან ტელევიზორი არა აქვს სახლში. კინოდარბაზში მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ყოველდღიურ პროცესებს, ნახონ მათთვის საინტერესო ტელეგადაცემები, აგრეთვე, დაესწრონ სპეციალურ სეანსებს, სადაც ფილმები და გასართობი პროგრამები მათი სურვილითაა შერჩეული. 2019 წელს მომსახურების რიცხვმა 4738 შეადგინა. სამომავლოდ ითვალისწინება 3D ფილმებისა და გადაცემების ჩვენება.

ინტერნეტ-კაფე

ამ სამსახურს თავისი მუდმივი მომხმარებელი ჰყავს. აქ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტ-სივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით. ინტერნეტ-კაფეს ხელმძღვანელობს სათნოების ძმა, რომელიც ასწავლის და პრაქტიკულად ეხმარება ხანდაზმულებს. 2019 წელს ამ სამსახურმა დაახლოებით 40-ზე მეტ ბენეფიციარს გაუხსნა ახალი შესაძლებლობების ფანჯარა.

თეატრალური დარბაზი

„კათარზისის“ ხანდაზმულთა გუნდში, საესტრადო თუ სხვა ჯგუფებში უკვე შემდგარი თუ დაფარული ტალანტების გამოვლენა ხდება. ეს ადგილი ბენეფიციარების სუსტი წერტილია.

1993 წლის 23 ნოემბრიდან ფუნქციონირებს „ნოსტალგიის თეატრი“ - დრამატული თეატრალური დასი, სადაც მოხვედრა მხოლოდ ბენეფიციარებს შეუძლიათ. თეატრს ხელმძღვანელობს რეჟისორი ილია ნიშნიანიძე. 2019 წელს დაიდგა და შედგა პრემიერა სპექტაკლისა - „ოთარაანთ ქვრივი“.

სისტემატიურად ეწყობა თეატრალური დასისა და საკონცერტო ჯგუფების როგორც შიდა, ისე გასვლითი ღონისძიებები. ხანდაზმულება მაყურებელს შესთავაზეს „ვალენტინობის“, დედის, 9 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობის, აღდგომის, თბილისობის, „გიორგობის“ დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; საახალწლო კარნავალმა სამასკარადო კოსტიუმებით აღმაშენებლის გამზირზე გადაინაცვლა და საერთო მხიარულება და ხალისი გამოიწვია. 2019 წლის განმავლობაში „კათარზისში“ გაიმართა: ხევსურული საღამო, ფერების დღესასწაული ინდოელ სტუმრებთან ერთად; ანსამბლების: „ნინეკვა“, „აკლი“, „ნადური“, თეატრალური კვარტეტის, გორის გუნდის, მუსიკოსების: ნინო ბედიანიძისა და საშა საფარელის, მანონი ყუბანეიშვილის სასიმღერო და სტუდია - „ჰარი კრიშნას“ საცეკვაო კონცერტები. „კათარზისს“ ესტუმრნენ და ხანდაზმულებს ღონისძიებები მოუწყვეს თბილისის 133-ე, 50-ე, 47-ე, მე-179, 214-ე, 23-ე, მე-14, 106-ე, 159-ე სკოლების, ილია მართლის სახელობის, მომავლის და ევროპული სკოლების, სოფელ საცხენისის სკოლის მოსწავლეებმა. ხანდაზმულთათვის ღონისძიებები გამართეს ფონდმა „ცხოვრება მშვენიერია“, სერგო ზაქარიაძის სახელობის კოლეჯის სტუდენტებმა, საბავშვო ბაღების - ჰეფი ჩილდრენს, გორის კერძო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. ხანდაზმულებს, ტრადიციულად, 8 მარტის დღესასწაული მიულოცეს და თბილი საღამო მოუწყვეს აფხაზეთის მთავრობისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა. 2019 წელს „კათარზისის“ ბენეფიციარები მიიწვია ჩაის სახლმა, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურმა ცენტრმა. ხანდაზმულებმა მონაწილეობა მიიღეს კუს ტბაზე გამართულ ღონისძიებაში - „სიყვარულის 100კმ.“ ჩვენს ბებია-ბაბუებს სხავასხვა კომპანიებმა მოუქყვეს ექსკურსიები: მცხეთაში, ბოდბეში, სიღნაღში და საგურამოში.

სამლოცველო

წმ. ნინოს სახელობის სამლოცველო, ისე როგორც თავის დროზე „კათარზისი“ გაიხსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. მისი კედლები და ჭერი მოხატულია ხატმწერების მერაბ ჩაკვეტაძისა და დავით ხიდაშელის მიერ. დაცულია მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა კანონიკური ნორმა.

აქ რეგულარულად აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისები, ნათლობისა და საპანაშვიდე რიტუალები, დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ტარდება ლოცვა.

არტ. თერაპია

აქ მუშაობს არტ-თერაპიის რამოდენიმე მიმართულება: იზოთერაპია (ხატვა, ნახატის გაფერადება, ძერწვა), ცეკვის თერაპია, სიცილის თერაპია, კინოთერაპია, მუსიკათერაპია, ლიტერატურათერაპია, პოეზია - მეტყველების თერაპია, მოძრაობითი ხელოვნება ანუ ევრითმია. არსებობს შესაბამისი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ არტ-თერაპიის გეგმაზომიერი, სწორი და მიზანმიმართული დანერგვა ხანდაზმულთა ყოველდღიურობაში დადებით შედეგს იძლევა მათი ჯანმრთელობის, ფსიქო-ემოციური ფონის გაუმჯობესობაში. 2019 წლის განმავლობაში გაწეულია 836 მომსახურება.

დასვენება-გართობის სივრცეები

ყოველწლიურად იზრდება „კათარზისის“ შენობის ჰოლების დატვირთვა. 2019 წლისათვის თითქმის დასრულდა სამივე სართულის ჰოლების დაიტვირთვა და ჩამოყალიბდა ბენეფიციართა დასვენება - გართობის სივრცე. პირველი სართულის შემოსასვლელ ჰოლში დამონტაჟდა ტელევიზორი, სადაც მთელი დღის განმავლობაში გადის სპეციალურად დამზადებული ვიდეორგოლი „კათარზისის“ საქმიანობის, მოსული სტუმრების, განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალები, აგრეთვე, ჩვენი ბენეფიციარების ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობის ასაკის ფოტოები. ჰოლების კედლებზე განთავსებულია ქართველი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციები, რის გამოც ისინი საგამოფენო სივრცის მისიასაც იძენენ. აქ განთავსებულია მაგიდები, რომლებიც მუდმივად დაკავებულია სამაგიდე თამაშების მოყვარულებით. განსაკუთრებით პოპულარულია: ლოტო, ნარდი, ჭადრაკი, დომინო, კარტი. იმართება შიდა ტურნირები. 2019 ტრადიციულად წელს ჩატარდა საგაზაფხულო და საშემოდგომო ტურნირები ჭადრაკსა და ნარდში, სადაც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ხანდაზმულმა. გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები (I – 100, II – 70, III – 50 ლ.) და გარდამავალი თასი.

რიტუალური სამსახური

„კათარზისს“ მუხათგვერდის სასაფლაოს ტერიტორიაზე აქვს 5000 კვმ მიწის ნაკვეთი, სადაც მიუსაფარი ხანდაზმულები იკრძალებიან. 2019 წელის გაზაფხული-შემოდგომის პერიოდებში დასუფთავდა სასაფლაოს მთელი ტერიტორია; განახლდა (აღდგა დაზიანებული ადგილები) ღობე; გავამაგრეთ ხის ნარგავები.

პროექტები

მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. ერთი ასეთი ნობათის თანხა დაახლოებით 100 ლარამდეა. 2019 წელს მწოლიარე ხანდაზმულებს 324-ჯერ გაეწია მომსახურება.

ბენეფიციარის დროებითი ავადმყოფობის შემთხვევაში ცხელ სადილს ყოველდღიურად ვაწვდიდით ბინაზე მოხალისეების ან სათნოების ძმების ძალებით.

„სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“. პროექტის მიზანია ყველა იმ ადამიანის დაპურება, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა: ხანდაზმულები, დევნილები, მრავალშვილიანები, ე.წ. ქუჩის ბავშვები, ყველა მსურველი. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“ (სურვილისამებრ, ბანერს ებმება აქციის სპონსორის ლოგო), რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2019 წელს განხორციელდა 8 ასეთი ღონისძიება. პირველი აქცია, ტრადიციულად, ჩატარდა 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ (ბიუჯეტით – 5561,65 ლარი). ამავე კომპანიის სპონსორობით გაჭირვებული მოსახლეობა დაპურდა სააღდგომოდ - 28 აპრილს (ბიუჯეტით - 5652,5 ლრი) და საკუთარი ორგანიზაციის დაბადების დღეს - 14 ნოემბერს (ბიუჯეტი – 5652,5 ლარი).

14 იანვარს უქონელი თბილისელების მასპინძელი კვლავ გახლდათ შპს „ტექნოჰაუსი“ (ბიუჯეტით – 5500 ლარი), ხოლო 19 იანვარს, „ნათლისღების“ და 28 აგვისტოს, „მარიამობის“ სადღესასწაულო აქციები დააფინანსა „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“ (ბიუჯეტები შეადგენდა: 6019,65 და 5131 ლარს.).

დედის დღეს, 3 მარტს, აქცია დააფინანსა შპს „დემასმა“ (ბიუჯეტი – 6109,65 ლ.), ხოლო პროექტის სპონსორი 12 ივნისს (ბიუჯეტით – 6959,65 ლარი) იყო „საქართველოს რკინიგზა“.

„წლის ბებია - ბაბუა - 2019“

პირველად ამ პროექტის ისტორიაში ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა - კონკურსი წლის „ბებიასა“ და „ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად 5 იანვარს ჩაიწერა ხოლო 16 გავიდა ტელეეთერში, გადაცემაში „პრაიმ შოუ“, 16 ინვარს. 2019 წელის ღონისძიება გამოირჩეოდა საკონკურსო ნომრების მრავალფეროვნებით. ხანდაზმულები ერთმანეთს შეეჯიბრნენ - ცეკვაში, სიმღერაში, ინსტრუმენტებზე დაკვრაში, საცირკო ხელოვნებაში და ა. შ.. კონკურსი ძალზე პოპულარულია და მასში მონაწილეობა მიიღო 25 ხანდაზმულმა როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან (თეთრი წყარო, ბოლნისი, თელავი, ჩოხატაური, ქარელი, ყვარელი, ახმეტა, ახალციხე, ბაღდათი, თერჯოლა, აფხაზეთი).

ჟიურის წევრები, რომლებმაც გამარჯვებულები გამოავლინეს იყვნენ ‘პრაიმ შოუს“ ექვსივე წამყვანი და თელასის, ამ კონკურსის ტრადიციული სპონსორის წარმომადგენელი. გამარჯვებულები გახდნენ: წლის „ბებია-2019“ - ეთერ მანგოშვილი (84 წლის), წლის „ბაბუა-2019“ - ოთარ ცინცაძე (78 წლის, ჩოხატაურიდან). მათ გადაეცათ ფულადი პრიზი 500-500 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ კონკურსანტებს - 100-100 ლარი თითოეულს. ამასთან, ღონისძიებაში მონაწილე ყველა ხანდაზმულმა სპონსორისაგან მიიღო საჩუქრად ტკბილეულის ნობათი.

1 ოქტომბერი - ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

ეს დღე გაეროს ასამბლეამ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღედ 1990 წელს გამოაცხადა, ხოლო საქართველო ამ გადაწყვეტილებას 2003 წლიდან შეუერთდა, თუმცა ეს თარიღი ჩვენთან ან არ, ან მოკრძალებულად აღინიშნებოდა.

2019 წლის 1 ოქტომბერს „კათარზისმა“ საზოგადოებას კვლავ, უკვე მეორედ, შესთავაზა ამ დღის აღნიშვნის ახალი ფორმა, რომელიც შესატყვისია ამ ადამიანების ღვაწლის, ჩვენი ერის ტრადიციული დამოკიდებულებისა ხანდაზმულთა მიმართ და შეესაბამება თანამედროვე გამოწვევებს. ღონისძიების დაწყებამდე 3 დღის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადიოდა ზანდაზმულთა მოწვევისა და მისალოცი შინაარსის ვიდეორგოლები; ამავე პერიოდის განმავლობაში ხანდაზმულთა თემატიკით დატვირთული იყო სოციალური ქსელები; წინა დღეს „კათარზისის“ სათნოების ძმები ქალაქის 7 ლოკაციაზე არიგებდნენ მისალოცებს და მოსაწვევებს ხანდაზმულთათვის. ამ დღეს საგანგებოდ მორთულ „მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკში“ მოეწყო სახალხო სეირნობა, რომელიც გაჯერებული იყო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების სასიმღერო, საცეკვაო, სპორტული და სანახაობრივი გამოსვლებით. ცნობილმა მომღერლებმა საკონცერტო პროგრამით (რომელსაც ირმა სოხაძე უძღვებოდა), მოძრაობის თეატრმა ხალისიანი ნომრებით, ხოლო ბავშვთა სასულე ორკესტრმა თავისი აკადემიური ნომრებით მიულოცეს ეს დღე ხანდაზმულებს. ბაღის შესასვლელ სივრცეებში მოლბერტებზე განთავსებული იყო 60-70 წლების ფოტოები, რომელიც იქ მოსულ საზოგადოებას ახალგაზრდობას ახსენებდა. საღამო გაგრძელდა დისკოთეკით ხანდაზმულებისათვის, რომელშიც ბებია-ბაბუების გარდა მონაწილეობას იღებდნენ სამოდელო სააგენტოებისა და საცეკვაო ჯგუფების წარმომადგენლები.

ორგანიზაციის ტექნიკური უზრუნველყოფა

2019 წელს „კათარზისმა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ორგანიზაციის ტექნიკური უზრუნველყოფის თავლსაზრისით. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მომზადდა და თვალსაჩინო ადგილებში გაიკრა საევაკუაციო გეგმა, ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გასასვლელების მანიშნებლები და ა.შ. უსაფრთხოების მიზნით მთელს შენობაში მოეწყო სათვალთვალო სისტემა 16 კამერით. ორგანიზაციის თანამშრომელთა აღრიცხვისათვის დამონტაჟდა შესვლა-გასვლის აპარატები საბარათე სისტემით.

ხანდაზმულთა დასაქმების პროექტი

2019 წლის ოქტომბრიდან ორგანიზაციამ „ბებიას“ „კათარზისის“ ხანდახმულ ბებიებს შესთავაზა დასაქმების პროექტი, რომლის ფარგლებშიც დამსაქმებელს მოაქვს ნედლეული (ძაფი), ხოლო ნებისმიერ ბებიას შეუძლია მოქსოვოს ზამთრის ქუდები. აღნიშნულ პროექტში ჩართულია იყო 12 ბებია, რომლებმაც სამი თვის განმავლობაში მოქსოვეს 350 ცალი ქუდი. თიოეულ მოქსოვილ ქუდში ხანდაზმულს უნაზღაურდებოდა 12 (თორმეტი) ლარი.

ალტერნატიული ჯარი

2007 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისროსთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე „კათარზისში“ ალტერნატიულ სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის ათეულობით ახალგაზრდა (ძირითადად რელიგიური მოსაზრებების გამო). სამხედრო მოსამსახურეები (სათნოების ძმები) მონაწილეობენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასა (მომსახურება სასადილოსა და კაფეში, მწოლიარეთათვის სადილების მიტანა, ინტერნეტ-კაფე, სავარჯიშო-სარეაბილიტაციო დარბაზი, გარდერობი) და პროექტებში („სადილი ყველას“, „უსახლკაროთა დახმარება“და სხვა).

2019 წლის განმავლობაში სამსახურს გადიოდა 26-29 წევამდელი.

მოხალისეები

მოხალისეობის ინსტიტუტს პოსტსაბჭოთა საქართველოში სავარაუდოდ „კათარზისში“ ჩაეყარა საფუძველი. ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც „კათარზისი“ იწყებდა საქმიანობას, მოხალისეები ქაშუეთის ეკლესიასთან იკრიბებოდნენ და მარტოხელა ხანდაზმულებისათვის საკვები და ტანსაცმელი მიჰქონდათ. მას შემდეგ სხვადასხვა თაობები ჩართული არიან „კათარზისის“ ყოველდღიურ საქმიანობასა და პროექტებში. 2019 წლისათვის ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარება 150-მდე მოხალისემ გაგვიწია.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

2016 წელიდან ხორციელდება „კათარზისისა“ და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი სახელწოდებით „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც განრიდებულები კვირაში 2-3 დღის განმავლობაში სამინისტროს კურატორთან ერთად მოდიან „კათარზისში“ და სადილობის პროცესის დასაწყისიდან დასასრულამდე ემსახურებიან ხანდაზმულებს. 2019 წლის განმავლობაში მათმა ყოველდღიურმა მომსახურებამ 924-ზე მეტი შეადგინა. 2019 წლის ივლისიდან დაიწყო მსჯავრდებულთა მიერ „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის“ პროგრამა, რომლის ფარგლებში მსჯავრდებულები მისჯილ სამუშაო საათებს ატარებენ „კათარზისში“ და საჭიროებიდან გამომდინარე ემსახურებიან ხანდაზმულებს.

მემორანდუმები

2019 წლის აგვისტოგან გაფორმდა ერთ წლიანი მემორანდუმი „კათარზისსა“ და GWP-ს შორის, როლმის ფარგლებშიც GWP ფარავს „კათარზისის“ მიერ გახარჯული წყლის ყოველთვიური ხარჯიდან 1500 ლარს.

კვლავ გრძელდება „ზამთრის გათბობის პროგრამა“ სს „თელასთან“, რომელის ვაუჩერის ოდენობამ 2019 წელს 5000 ლარი შეადგინა.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია ‘kaTarzisi~ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისთვის იჯარით გაცემული გვაქვს 147 კვმ ფართი, რომლიდანაც წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 65629,59 ლარი.

პ.ს. 2019 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 21 მარტის ნომერში.

ასოციაციის პრეზიდენტი
ზაურ ალადაშვილი

იხ. 10 გვ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის კათარზისის მფლობელებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ სჰკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს"-ების) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სჰკ კათარზისის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - `აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე~ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სჰკ “კათარზისი“-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს - ის შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირობის უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს აუდიტორთა და იურისტთა საერთაშორისო ჯგუფი-ს სახელით.

თბილისი, საქართველო

18 მარტი, 2020

სჰკ „კათარზისი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	168,470	183,904
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	278	308
სხვა გრძელვადიანი აქტივები		13,751	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		182,499	184,212
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	39,163	60,148
მოკლევადიანი მოთხოვნები	7	4,183	5,740
გაცემული ავანსები		584	903
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	131,490	74,250
სხვა მიმდინარე აქტივები		9,081	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		184,501	141,041
სულ აქტივები		367,000	325,253
ვალდებულება და კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		7,500	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		7,500	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,232	2,409
შრომის ანაზღაურება		2,662	1,271
საგადასახადო ვალდებულებები		-	705
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		4,894	4,385
მთლიანი ვალდებულებბი		12,394	4,385
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30,391	30,391
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		33,738	27,479
რეზერვები და დაფინანსება		270,752	243,273
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		19,725	19,725
მთლიანი კაპიტალი		354,606	320,868
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		367,000	325,253

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-ოლეგ ალადაშვილი **პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მუსხელიშვილი**

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

სჰკ „კათარზისი“
მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქველმოქმედო შემოსავლები	10	1,067,613	1,024,309
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(360,588)	(301,727)
ცვეთის ხარჯი		(30,596)	(38,607)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(652,399)	(654,216)
შედეგი საოპერაციოსაქმიანობიდან		**24,030**	**29,759**
კურსთა შორის სხვაობა		254	(15)
საპროცენტო ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი		**254**	**(15)**
საპროცენტო შემოსავალი		59	2
ფინანსური შემოსავალი		-	-
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან		**313**	**(13)**
სხვა შემოსავალი		22,809	6,863
სხვა ხარჯები		(13,414)	(22)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**33,738**	**36,587**
მოგების გადასახადი		-	(9,108)
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		**33,738**	**27,479**

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-ოლეგ ალადაშვილი

პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მუსხელიშვილი

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

სჰკ „კათარზისი“
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	*საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი*	*რეზერვები და დაფინანსება*	*ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი*	*სულ*
1 იანვარი, 2019	30,391	27,479	243,273	19,725	320,868
მოგება წლის განმავლობაში	-	33,738	-	-	33,738
რეზერვები და დაფინანსება	-	(27,479)	27,479	-	-
31 დეკემბერი, 2019	30,391	33,738	270,752	19,725	354,606

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-ოლეგ ალადაშვილი

პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მუსხელიშვილი

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

სჰკ „კათარზისი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები	944,650	877,972
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(645,746)	(740,161)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(113,837)	-
გადახდილი გადასახადები	(114,642)	(117,116)
სხვა	(351)	-
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**70,074**	**20,695**
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(20,671)	(13,120)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7,837	-
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(12,834)**	**(13,120)**
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	**-**	**-**
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	**57,240**	**7,575**
ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში	**74,250**	**66,675**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**131,490**	**74,250**

ხელმომწერი პირები

პრეზიდენტი: ზაურ-ოლეგ ალადაშვილი

პრეზიდენტის მოადგილე: ნანა მუსხელიშვილი

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

6 თებერვალი, 2020
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 8-22 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 1-3 გვერდებზე.

კორონავირუსის დასადგენ სწრაფ ტესტებს საქართველო მომავალ კვირაში მიიღებს

კორონავირუსის დასადგენი სწრაფი ტესტები საქართველოში მომავალ კვირაში იქნება. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა. სწრაფ ტესტებს საქართველო ჩინეთიდან და კორეიდან მიიღებს.

„ჩინეთის რესპუბლიკამ გამოყო საჩუქრად 1000 ტესტი, რომელიც შემდეგი კვირის დასაწყისში იქნება საქართველოში. ჩვენი სპეციალისტების მიერ მოწოდებული ალგორითმით მოხდება სწრაფი ტესტირება იმ პირებზე, რომლებზეც გვექნება ეჭვი კორონავირუსთან მიმართებაში. ასევე წარმატებით გრძელდება მოლაპარაკებები კორეის სახელმწიფოსთან, რის შედეგადაც ჩვენ ველოდებით დამატებით 200 ათას ტესტს. შესაბამისად, შემდეგი კვირის ბოლოდან ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ იმის საშუალება, რომ მიიღონ მომსახურება ამ მიმართულებითაც“, — განაცხადა მინისტრმა.

რატომ არ დაეტყო რეკორდულად გაიაფებული ნავთობი საქართველოს!

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი უკვე 25 დოლარზე ქვემოთ ჩამოვიდა. შედარებისთვის: იანვრის დასაწყისში ის, დაახლოებით, 65 დოლარს შეადგენდა. ფასი ბოლო 10 დღეში რეკორდულად დაეცა, თუმცა ამას ქართულ ბაზარზე ჯერ გავლენა არ მოუხდენია. ლარის გაუფასურების ფონზე კი არ არის გამორიცხული, რომ კომპანიების ნაწილმა ფასი არ შეამციროს. ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით, დოლარი დღეს უკვე 3.18 ლარი ღირს.

„დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ფასების შემცირების ტრენდი მომავალ კვირებში გაგრძელდება“, — განუცხადა რადიო თავისუფლებას „ვისოლის“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ. მისი განმარტებით, ბოლო ერთ თვეში კომპანიამ საწვავის ფასი სამჯერ 5-5 თეთრით შეამცირა.

„ამ ეტაპზე ფასების ცვლილება არ განიხილება“, — უთხრა რადიო თავისუფლებას კომპანია „გალფის“ ვიცეპრეზიდენტმა ნინო ჯიბლაძემ. მისივე თქმით, კომპანიას საწვავის ორი თვის მარაგი აქვს, ანუ შემცირებულ ფასად საერთაშორისო ბაზრიდან ბენზინისა და დიზელის შემოტანა ჯერ არ იგეგმება.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში ამბობენ, რომ საქართველოში ამ დროისთვის ბენზინისა და დიზელის საკმარისი მარაგებია და არც მათი ქვეყანაში შემოტანის კუთხითაა შეფერხება. რაც შეეხება ფასს, ის ლარის კურსზე იქნება დამოკიდებული.

„ნავთობპროდუქტების მოწოდება ქვეყანაში აბსოლუტურად დივერსიფიცირებულია — გეოგრაფიულად და ლოჯისტიკურად. პროდუქტი რკინიგზის საშუალებით შემოდის აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან, საზღვაო გზით — ევროპული ქვეყნებიდან: რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან. ასევე, რუსეთიცაა ჩვენი მომწოდებელი. ბენზინი და დიზელი საქართველოში ბოლო 1.5 თვეში 15-20 თეთრით გაიაფებულია. ფასი, ალბათ, ყველა ვარიანტში სტაბილური იქნება, გაზრდა გამორიცხულია. თუ კურსმა საშუალება მისცა კომპანიებს, რა თქმა უნდა, ფასების შემდგომი შემცირება გაგრძელდება“, — აცხადებს რადიო თავისუფლებასთან საუბარში კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

მისი ინფორმაციით, საქართველოში შეფერხდა სანავთობო პროდუქტ ბიტუმის იმპორტი. ის საგზაო მშენებლობაში გამოიყენება და ქვეყანაში, ძირითადად, ირანიდან შემოდიოდა. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში ამბობენ, რომ კომპანიებს ალტერნატიული ბაზრების მოძიება მოუწევთ, რადგან ირანიდან ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებულია.

სანდრო ჯუფალაკიანი

რომან კაკულია:
საქართველოსთვის კორონავირუსისგან გამოწვეული ზარალი, სავარაუდოდ, 500 მილიონი იქნება



„საქართველოსთვის კორონავირუსისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი, დაახლოებით, 500 მილიონი ლარის ფარგლებში იქნება. ამავდროულად, პროდუქტებზე ფასის ხელოვნურად გაზრდის შემთხვევაში, მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკა, შესაძლოა, ხელოვნურ მართვაზე გადაიყვანოს“, — ამის შესახებ "2020NEWS"-თან ინტერვიუში პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ **რომან კაკულიამ** განაცხადა.

კაკულია ბიზნესს მოუწოდებს, შექნილი ვითარებით არ ისარგებლონ და პროდუქტებზე ფასები ხელოვნურად არ გაზარდონ, რადგან სხვა შემთხვევაში, მთავრობის მზაობით, პარლამენტს ტარიფების დარეგულირება საკანონმდებლო დონეზე მოუწევს.

მისივე თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობას დაეხმაროს.

— ბატონო რომან, რა ზიანი შეიძლება, მიაყენოს კორონავირუსის გავრცელებამ საქართველოს ეკონომიკას?

— ჩვენ ყველანაირი საფუძველი გვაქვს, რომ დღეს კორონავირუსი დროებით მოვლენის სტატუსით შევაფასოთ. დროებით მოვლენას აქვს თავისი მკურნალობის რეცეპტები. თუ ვთანხმდებით, რომ კორონავირუსი დროებითი მოვლენაა, უნდა ჩამოითვალოს ყველა ის გამოწვევა, რომელიც საქართველოშია. ეს გამოწვევები უკვე ხელისგულზე დევს — ტურიზმი, ტრანსპორტი, უძრავი ქონება, სასტუმროები, რესტორნები, ყველა გადმორიცხვა, ამას ემატება იმპორტის შემცირება, შიდამოხმარების შემცირება — ანუ ყველაფერმა, რასაც შეეძლო, ლარის კურსზე ემოქმედა, ნეგატიური დარტყმა მიიღო. ასეთმა ვითარებამ კი, პირველ ყოვლისა, ინფლაციას დაუმიზნა. ამ ეტაპისთვის, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ მთლიანობაში, კორონავირუსისგან მიღებული ზარალი 500 მილიონის ფარგლებში იქნება. უნდა ვიფიქროთ, რითი შეიძლება დაბალანსდეს ეს 500 მილიონი. აქ, რა თქმა უნდა, არსებობს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ნაწილები. ეროვნულმა ბანკმა ინტერვენცია უკვე გააკეთა და თუ საჭირო იქნება, კიდევ გააკეთებს. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში ეროვნულ ბანკს საპროცენტო განაკვეთის გაზრდაც მოუწიოს.

ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი არის საერთაშორისო დახმარების ფონდებთან ხელმისაწვდომობა. მსოფლიო უკვე დაფიქრდა იმაზე, რა საერთაშორისო მხარდაჭერა შეიძლება, აღმოუჩინოს საერთაშორისო დახმარების ფონდებმა ვირუსით დაზარალებულ ქვეყნებს. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ტურიზმით დაზარალებულ ქვეყნებს. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ კუთხით დროული მუშაობის დაწყება, ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, აუცილებელია საფუძვლიანი კონსულტაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან იმისათვის, რომ ჩვენი ბიუჯეტის პარამეტრების ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, მათთან კონსულტაციები მერე დროში არ გაგვეწელოს.

— კორონავირუსისგან გამოწვეული ზიანის გამო, მთავრობამ და ბანკებმა საზოგადოებისთვის შეღავათები დააწესეს, საუბარია, როგორც საშემოსავლო, ასევე ქონების გადასახადისა და სესხების სამთვიან გადავადებაზე. შეეძლო თუ არა მეტის გაკეთება ხელისუფლებას?

— ჩვენ რომ მაქსიმალურად შეგვეძლოს იმის გამორიცხვა, კორონავირუსის გავრცელების პროცესი დასრულებადია, მაშინ, რა თქმა უნდა, მეტის გაკეთება შეეძლო. მაგრამ, ჩვენ წინ მაინც გვაქვს გაურკვევლობის გარკვეული ნაწილი შენარჩუნებული.

ჩვენი მთელი რესურსები რომ მოვახმაროთ იმ პრობლემების მოგვარებას, რაც დღეს წარმოჩინდა, ამის ფუფუნება არ გვაქვს.

ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, რომ კარგსა და ცუდს შორის გავაკეთოთ არჩევანი. სამწუხაროდ, ჩვენ ვართ მდგომარეობაში, როდესაც უარესსა და ცუდს შორის უნდა გავაკეთოთ არჩევანი. უფრო უარესი სცენარისათვის რესურსული მზაობა დატოვეული უნდა გვქონდეს.

— ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარებით, ბიზნესმენთა ნაწილი ბოროტად სარგებლობს და პროდუქტებზე ფასებს ხელოვნურად ზრდის. ამ მოცემულობის აღსაკვეთად, გეგმავს თუ არა პარლამენტი ტარიფების საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას?

— ვიდრე ჩვენ თავისუფალი ბაზრის პირობებში ვართ, რა თქმა უნდა, ბიზნესმენის გადასაწყვეტია, გააძვირებს თუ არა პროდუქტს. თუმცა საკანონმდებლო დონეზე, როგორც დროებითი ღონისძიება, ამის დარეგულირება შესაძლებელია.

მთავრობამ შეიძლება, ტარიფების ხელოვნურად გაზრდის შემთხვევაში, ხელოვნურ მართვაზე აიღოს ეკონომიკა, თუმცა ამას დრო სჭირდება. თუ დავინახავთ, რომ კერძო სექტორში მოწოდებები საერთო სოლიდარობის შესახებ არ არსებობს, მაშინ მთავრობა იქნება მზად, ჩემი აზრით, საკანონმდებლო დონეზეც მოხდეს ტარიფების დარეგულირება. თუმცა დღეისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბიზნესმენიც და მომხმარებელიც ერთიანი პასუხისმგებლობით შეხედავს ქვეყანაში არსებულ პრობლემას.

ჩემი ინიციატივაა, რომ უნდა დადგინდეს გარკვეული ლიმიტები სხვადასხვა პროდუქტის შესყიდვაზე, რათა არ მოხდეს დეფიციტების გაჩენა პირველადი მოხმარების საგნებზე. თუ საგნებზე დეფიციტი გაჩნდა, ეს იქნება მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი. ამის დარეგულირებაც შეიძლება საკონონმდებლო დონეზე, მაგრამ აღნიშნული პროცესი ბევრ დროს წაიღებს. ჩვენ დღეების ამბავი გვაქვს დარჩენილი, ამიტომ კერძო სექტორი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას.

ყველა იმ ბატონმა, რომელიც ახლა მოგების დაგროვებაზე ზრუნვს, აქედანვე უნდა იფიქროს, თუ ჩვენ უსაფრთხოების თემაში გადავედით, მაშინ მათ დაგროვებულ ქონებას სხვა საფრთხეები დაემუქრება.

ესაუბრა
ეკატერინე ზარნაძე

ჩვენი კაცი ჰააგაში

იუსტიციის მინისტრის მოადგილეს გოჩა ლორთქიფანიძეს ჰააგაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლედ ასარჩევად წარადგენენ. მისი კანდიდატურის წარდგენას საქართველოს პარლამენტში უყარეს კენჭი და მხარი 91-მა დეპუტატმა დაუჭირა. კენჭისყრა პარლამენტში განხილვის გარეშე გაიმართა.

„გოჩა ლორთქიფანიძის კანდიდატურა იქნება წარდგენილი. იმედს გამოვთქვამ, რომ ის საბოლოოდ იქნება სასამართლოს მიერ მოსამართლედ დამტკიცებული და სასიამოვნოა, როდესაც მისი კანდიდატურის გარშემო არსებობს ერთსულოვანი მხარდაჭერა. ის ნამდვილად იმსახურებდა ამ მხარდაჭერას თავისი ქვეყნის პარლამენტის მხრიდან. მინდა წარმატებები ვუსურვო ბატონ გოჩა ლორთქიფანიძეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ.

რუსეთმა დეპორტირებულ 7 მოქალაქეს დაკისრებული კომპენსაცია გადაუხადა

რუსეთის ფედერაციამ კომპენსაცია გადაუხადა 2006 წელს რუსეთიდან კოლექტიური გამოძევების შედეგად დაზარალებულ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური საჩივრები ჰქონდათ წარდგენილი. ინფორმაციას საია ავრცელებს.

„ინდივიდუალურ საქმეებზე ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2019 წლის 26 მარტს გამოიტანა. გადაწყვეტილებით, რუსეთს დაზარალებული მოქალაქეებისთვის, მათ შორის საიას დაცვის ქვეშ მყოფი 8 პირის, სასარგებლოდ სხვადასხვა ოდენობის კომპენსაცია (2000 ევრო ან 10,000-დან 15,000 ევროს ფარგლებში) უნდა გადაეხადა. კომპენსაციის ოდენობა თითოეულ მომჩივანთან მიმართებით ინდივიდუალურად განისაზღვრა მათ მიმართ დარღვეული უფლებების სიმძიმის, ინტენსივობისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო 2019 წლის 26 ივნისს გახდა. რუსეთის ფედერაციას მისთვის დაკისრებული თანხა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში უნდა გადაეხადა. აღნიშნული ვადა 2019 წლის 26 სექტემბერს გავიდა. თუმცა, დადგენილ ვადაში რუსეთს საიას დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის თანხა არ გადაუხდია.

2019 წლის ივლისიდან 2020 წლის იანვრამდე საია აქტიურ კომუნიკაციას აწარმოებდა რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროსთან. კომუნიკაციის ფარგლებში საიამ რუსეთის ფედერაციას წარუდგინა მომჩივანთა საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები და პირადობის დამადასტურებელი საბუთები და ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად აღსრულებისკენ მოუწოდა.

პარალელურად, 2019 წლის 19 ნოემბერს საიამ წერილობითი კომუნიკაცია წარადგინა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, რომელიც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს ზედამხედველობს. წარდგენილ კომუნიკაციაში საია აღნიშნავდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ამ დრომდე არ ჩარიცხვიათ მიკუთვნებული კომპენსაცია მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებმა რუსეთის შესაბამის ორგანოებს მათი მონაცემები მიაწოდეს. დამატებით საია ასაბუთებდა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და მომჩივნებისთვის კომპენსაციის გადახდა რუსეთის ფედერაციის უპირობო ვალდებულებას წარმოადგენდა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად.

2019 წლის 29 ნოემბერს საიას რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროსგან ეცნობა, რომ ერთ მომჩივანს უახლოეს პერიოდში ჩაერიცხებოდა თანხა, დანარჩენ 7 მომჩივანთან მიმართებით კი რუსეთმა დამატებითი საბუთების წარდგენა მოითხოვა. საიამ მოთხოვნილი დოკუმენტაცია ხელახლა წარუდგინა რუსეთის იუსტიციის სამინისტროს, რის შემდეგაც 2020 წლის 21 იანვარს სამინისტროსგან გვეცნობა, რომ 6 მომჩივანს თანხა ჩაერიცხებოდა, ხოლო მე-7 მომჩივანთან მიმართებით კვლავ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა გახდა საჭირო.

ამ ეტაპზე რუსეთის ფედერაციამ საიას დაცვის ქვეშ მყოფ 7 პირს ჩაურიცხა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მიკუთვნებული კომპენსაცია, ხოლო ერთ მომჩივანთან მიმართებით საია აგრძელებს კომუნიკაციას რუსეთის ფედერაციასთან.

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ 2019 წ. განხორციელებული საქმიანობის პროგრამული

ანგარიში

ა.ა.ი.პ. დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია (არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, საქველმოქმედო ორგანიზაციის დამადასტურებელი მოწმობა №4, 15.04.2005).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის საქმიანობა 2019 წ. მოიცავდა 2 მიმართულებას: 1. დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას (ვაუჩერული დაფინანსება ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოდან); 2. ასოციაციის წევრებისა და დიაბეტით დაავადებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და სამეურნეო საორგანიზაციო ხარჯი (დაფინანსება კერძო შემოწირულობებიდან, დეპოზიტის პროცენტებიდან და ასოციაციის წევრთა საწევროებიდან).

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის (ბავშვთა და მოზარდთა დიაბეტის მართვის სახელმწიფო ვაუჩერული პროგრამის ფარგლებში) შესრულება.

დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა სახელმწიფო პროგრამა განკუთვნილია საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის. 2019 წ. პროგრამა მოიცავდა შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას:

1. ბენეფიციარებისათვის საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შეძენა, შენახვა და გაცემა გლუკოზის თვითკონტროლისათვის;
2. პაციენტების ლაბორატორიული გამოკვლევები (HbA1c გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა);
3. თვალის გართულებათა მონიტორინგი;
4. დიაბეტური განათლების მიღება;
5. დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის პროგრამა.

2019 წლის ბავშვთა და მოზარდთა პროგრამა განკუთვნილი იყო საქართველოში მცხოვრებ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის და 18 წელს გადაცილებული იმ დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრალური დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება. პროგრამის ძალაში შესვლის მომენტისათვის (01.01.2019) ასოციაციაში რეგისტრირებული ზემოთადნიშნული ასაკის ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა იყო 963. 2019 წ. გამოვლინდა 18 წლამდე ასაკის 171 ახალი პაციენტი, რაც წინა წლების გაზრდილ სტატისტიკასთან თანხვედრაშია.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდებოდა ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების კოორდინატორის მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში ასოციაცია ვაუჩერული დაფინანსებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე დამატებით, როგორც ჰუმანიტარული ორგანიზაცია, საქველმოქმედოდ აწარმოებდა სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების (ინსულინები, ინსულინების ანალოგები, შპრიც-კალმისტრები, კალმისტრის ნემსები) შენახვას სათანადო ტემპერატურულ რეჟიმში, აღრიცხვას და დარიგებას, რაც საკმაოდ დიდ ადამიანურ და მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

მედიკამენტების გაცემა ხდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით: ახლადგამოვლენილი პაციენტების აღრიცხვაზე აყვანა და მათზე მედიკამენტების გაცემა ხორციელდებოდა ასოციაციის ცენტრალური ოფისიდან უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმ პედიატრ ენდოკრინოლოგის მიერ გამოწერილი ფორმა 100-ის საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მედიკამენტების (ინსულინების) პაციენტებზე გაცემა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კონტროლდებოდა ონლაინ რეჟიმში სპეციალური პროგრამის საშუალებით.

პროგრამის მიონაწილე ყველა პაციენტი უზრუნველყოფილია გლუკომეტრითა და პროგრამით განსაზღვრული რაოდენობის საანალიზო ჩხირებით (სისხლის და შარდის), რაც მათ აძლევთ საშუალებას დამოუკიდებლად აკონტროლონ სისხლში გლუკოზის დონე. ამას გარდა, მათ კვარტალში ერთხელ სავალდებულო წესით პროგრამის ფარგლებში უტარდებათ გლიკოჰემოგლობინის (HbA1c) ანალიზი, რაც უაღრესად დიდ ინფორმაციას იძლევა პაციენტებში ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ. გლიკოზირებული ჰემოგლობინის ანალიზი კეთდება ასოციაციის ლაბორატორიაში, რომელიც განთავსებულია ცენტრალურ ოფისში. 2019 წლის განმავლობაში სულ გაკეთდა 3070 ანალიზი.

ასოციაციის ცენტრალურ ოფისში პაციენტებს ექვს თვეში ერთხელ სავალდებულო წესით უტარდებათ თვალის შემდეგი გამოკვლევები: ოფთალმოსკოპია, რეფრაქტომეტრია, ბიომიკროსკოპია და ფუნდუსკოპია. 2019 წლის განმავლობაში თვალის სკრინინგი ჩაუტარდა 994 პაციენტს (1649 ვიზიტი).

ასოციაციას აქვს დიაბეტის საგანმანათლებლო სკოლები პაციენტებისა და მათი მშობლებისათვის, სადაც მუდმივად ტარდება მეცადინეობები, როგორც ახლადგამოვლენილი პაციენტებისათვის, აგრეთვე მათთვისაც, ვისაც ექიმთა დაკვირვებით ხელახლა სჭირდება სკოლის გავლა. დიაბეტური განათლების მიღება საგრძნობ გავლენას ახდენს პაციენტების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, ვინაიდან იზრდება თვითკონტროლის ხარისხი.

დიაბეტური განათლების სრულყოფისათვის ახლადგამოვლენილ პაციენტებს უფასოდ გადაეცემათ ასოციაციის მიერ შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელო „დიაბეტის მართვა“, რომელიც მშობლებისა და ბავშვებისათვის სამაგიდე წიგნია.

2019 წ. განმავლობაში, რეაბილიტაციის პროგრამით ასოციაციის სარეაბილიტაციო სპორტულ ცენტრში ტარდებოდა ვარჯიშები 2 ჯგუფში.

თითოეული პაციენტისათვის შემუშავდა განსაზღვრული ინტენსივობის ფიზიკური დატვირთვების ინდივიდუალური გრაფიკი. ვარჯიშის ძირითად ნაწილში ფიზიკური დატვირთვები მიმდინარეობდა ორგანიზმისათვის სასიცოცხლო ფუნქციების (პულსი, სუნთქვა) მონიტორინგით შემდეგ ტრენაჟორებზე:

- ციკლური (სარბენი ბილიკი, ველო, ველოთხილამური, სტეპერი)
- ძალისმიერი (მუცლის პრესის, ხერხემლის სამასაჟო სკამი, კომბინირებული)
- სამაგიდო სპორტული თამაშები (მაგიდის ჩოგბურთი, მაგიდის ფეხბურთი)
- ვიბრომასაჟორები

უშუალოდ ვარჯიშამდე და მის მერე ხდებოდა თითოეული პაციენტისათვის სისხლში გლუკოზის დონის სავალდებულო განსაზღვრა.

ასოციაცია ანგარიშებს ყოველთვიური პროგრამული დანახარჯების შესახებ წარადგენს ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოში მათ მიერ დადგენილი ფორმით.

2. ჩვენი ასოციაციის ჰუმანიტარული პროფილიდან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გავუწიოთ ჰუმანიტარული დახმარება დიაბეტით დაავადებულ საქართველოს მოსახლეობას, რისთვისაც ასოციაციას გააჩნია ჰუმანიტარული ინსულინებისა და თანმხლები საანალიზო ტექნიკური საშუალებების გარკვეული მარაგი. ჰუმანიტარული დახმარების გაცემა ასოციაციაში რეგისტრირებულია სათანადო წესით. ასოციაციას აქვს მცირე შემოსავალი დეპოზიტზე განთავსებული თანხებიდან. კერძო შემოწირულობების და დეპოზიტის პროცენტების თანხა ხმარდება ასოციაციის მმართველობით ხარჯებსა და ასოციაციის მძიმე სოციალური მდგომარეობის წევრების მატერიალურ დახმარებებს.

სრული საფინანსო ინფორმაციისათვის იხილეთ ბალანსი და საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმები, რომლებიც წინამდებარე ანგარიშს თან ახლავს.

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია

ბალანსი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2018	2019
	აქტივები		
	გრძელვადიანი აქტივები		
	ძირითადი საშუალებები	2105284.47	2003825.94
	ინვესტიციები		
	სხვა გრძელვადიანი აქტივები		
	მიმდინარე აქტივები		
	მატერიალური მარაგი	230390.39	293247.40
	დებიტორები	112818.42	122200.65
	ავანსები	324.10	522.61
	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	1278841.90	1775499.40
	სულ აქტივები	3727659.28	4195296.00
	ფონდები და ვალდებულებები		
	ფონდები		
	შეუზღუდავი ფონდი	2926340.54	3289157.33
	დროებით შეზღუდული ფონდი	689922.47	792106.77
	მუდმივად შეზღუდული ფონდი	73484.22	111449.71
	გრძელვადიანი ვალდებულებები		
	გრძელვადიანი სესხები		
	საპენსიო ანარიცხები		
	მოკლევადიანი ვალდებულებები		
7	კრედიტორები	37912.05	2582.19
	მოკლევადიანი სესხები		
	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		
	სულ ფონდები და ვალდებულებები	3727659.28	4195296.00

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

I.შეუზღუდავი ფონდების ნაწილში

№№	**შემოსავლები**	2019
1	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი ძირ.	
2	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი	
4	შესრულებული სამუშაო	1400754.61
5	საპროცენტო შემოსავლები	
6	კურსთა სხვაობა	91909.9
7	სხვა შემოსავლები	
	სულ შემოსავლები	**1492664.49**
	ხარჯები	
1	I პროექტის ხარჯი	
2	II პროექტის ხარჯი	57613.41
3	III პროექტის ხარჯი	1072234.29
4	პროექტების მხარდაჭერის ხარჯი	
5	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი (კ/სხვ.)	
	სულ ხარჯები	**1129847.7**
	მთლიანი შედეგი (შემოსავლების ნამეტი/ დეფიციტი)	**362816.8**
	განსაკუთრებული მუხლები	
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***362816.79***
	II.დროებითი შეზღუდული ფონდების ნაწილში	
	შემოსავლები	
1	კურსთა სხვაობა, სხვა ფონდების გადანაწილება	57613.41
2	შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი 31	144200.00
3	საწევრო შენატანები	732.00
3	შემოწირულობები	147.00
4	საპროცენტო შემოსავლები	35232.00
	სულ შემოსავალი	**237924.41**
	ხარჯები	
1	I პროექტის ხარჯი	
2	II პროექტის ხარჯი	135740.11
3	III პროექტის ხარჯი	
	სულ ხარჯები	**135740.11**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***102184.3***
	III. მუდმივი შეზღუდული ფონდების ნაწილში	
	შემოსავლები	
1	სხვა შემოსავალი	
2	შემოსავალი არაფულადი სახით	768120.64
	სულ შემოსავალი	**768120.64**
	ხარჯები	
1	I პროექტის ხარჯი	730155.16
	სულ ხარჯები	**730155.16**
	წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	***37965.48***

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“

ორგანიზაციის მიერ 2019 წელს განეული საქმიანობის ანგარიში

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ უკანასკნელ წლებში მრავალი პროექტი განახორციელა როგორც საქველმოქმედო, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლომიზნით. გრძელვადიანდა მასშტაბურ პროექტებს შორის აღსანიშნავია შშმ პირთათვის ეტლების, ყავარჯნების, გადასაადგილებელი ჩარჩოებისა და ხელჯოხების უსასყიდლოდ გადაცემის პროექტი, რომელსაც ასოციაცია მე-10 წელია ახორციელებს დონორ პარტნიორებთან ერთად.მიმდინარე წელს ორგანიზაციამ ამ საქველმოქმედო პროგრამის ფარგლებში 30-ზე მეტი მუნიციპალიტეტის 567 შშმპ-ს უსასყიდლოდ გადასცა ოთხი სხვა და სხვა ტიპის ეტლი, 21 გადასაადგილებელი ჩარჩო, 37 ხელჯოხი და 25 იდაყვის ყავარჯენი. მიმდინარე წელს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ორგანიზაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში, ასოციაციამ განახორციელა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ვეტერანების სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ საქველმოქმედო ღონისძიებები და შშმ ვეტერანებს და სხვადასხვა მისიებში დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს უსასყიდლოდ გადასცა ინვალიდის ეტლები, სასიარულო ჩარჩოები იდაყვის ყავარჯნები და ხელჯოხები. ვეტერანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვეტერანების საქმეთა სახელმწიფოს სამსახურის მხარდაჭერით, პანკისის ხეობაში მცხოვრებ მოსახლეობას, მათ შორის ვეტერანებს და მათი ოჯახის წევრებს, (სოფლებიდუისი, ჯოყოლო, შუახალაწანი, ბირკიანი, საკობიანო, ხალაწანი, ყვარელწყალი) ჩაუტარდა ფართო პროფილის უფასო სამედიცინო გამოკვლევები (პედიატრია, კარდიოლოგია, ენდოკრინოლოგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ფტიზიატრია, გინეკოლოგია, რადიოლოგია, ლაბორატორიული კვლევები) და ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ. აქციის ფარგლებში, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება გაეწია 210 ბენეფიციარს, განხორციელდა 680 ვიზიტი. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღო 12-მამადალკვალიფიციურმა ექიმმა სხვადასხვა კლინიკებიდან: მემორანდუმის ფარგლებში, ანალოგიური აქცია გაიმართა გორის მუნიციპალიტეტში ექიმების მობილური ბრიგადის ჩაყვანა გორის რ-ში მცხოვრები ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების გასასინჯად სადაც 208 ბენეფიციარს გაეწია კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება და ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები გადაეცათ უსასყიდლოდ.” ჩვენთვის უდიდესი პატივია იმ ღირსეულ ადამიანებთან თანამშრომლობა და მათთვის დახმარების გაწევა, ვინც ჩვენს ქვეყანას უანგაროდ ემსახურა და დღესაც დგას სამშობლოს სადარაჯოზეა. მ/წ გაფორმებული მემორანდუმი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან მიზნად ისახავს ისეთი ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც მიმართულია საქ. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისთვის, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებისათვის, ასევე მათი ოჯახის წევრებისათვის ეტლების, სასიარულო ჩარჩოების, ხელჯოხების და ყავარჯნების უსასყიდლოდ გადაცემას და სხვა სახის სოციალური დახმარების გაწევას. ამ მიზნით გორის ჰოსპიტალს გადაეცა - 3ეტლი, ქუთაისის საავადმყოფოს - 3 ეტლი, წეროვანის რეაბილიტაციის ცენტრს - 3 ეტლი, დანარჩენი შშმ - პირები ინდივიდუალურად დაკმაყოფილდნენ. სულ გადაცემულია 15 ეტლი. მასშტაბური პროექტეის ფარგლებში რასაც შშმ პირთათვის ეტლების, ყავარჯნების, გადასაადგილებელი ჩარჩოებისა და ხელჯოხების უსასყიდლოდ გადაცემის პროექტი ჰქვია ორგანი ზაციამ მ/წელს, მონაწილეობა მიიღო სასტუმრო რუმსთბილისში “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ მრგვალი მაგიდის ღონისძიებაში თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა: გამოწვევები და შესაძლებლობები“. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ადვოკატთაა სოციაცია, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალე ბი მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დაკავშირი „ადამიანებისათვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“. სადაც პრეზენტირებული იყო ადვოკატთა ასოციაციის პრობონო პროექტი „შშმ პირთა და პალიატიური მზრუნველობის პაციენტებისათვის უფასო იურიდიული დახმარება, ააიპ „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ ხოლო ჩვენმა ორგანიზაციამ შესთავაზა თავისი პროექტი და ჰოსპისის ბენეფიციარებს უსასყიდლოდ გადასცა 7 ეტლი, 2 გადასაადგი ლებელი ჩარჩო და 3 ყავარჯნი. „მრგვალი მაგიდის“ და სრულების შემდეგ გაიმართა „თერაპიის სახლის“ ბენეფიციართა მიერ დამზადებული ნაწარმის საქველმოქმედო გამოფენა გაყიდვა. ასოციაციის წევრებმა ქველმოქმედების მიზნით ასოციაციისთვის და პირადი სარგებლობისთვის შეიძინეს მათი ნაკეთობები. მიმდინარე წელს ასოციაციამ ჩაატარა საქველმოქმედო აქცია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძეგვის სარეაბილიტაციო ცენტრსა და თავშესაფარში, სადაც ამჟამად 78 ბენეფიციარია. თავშესაფარის ბენეფიციარებს უსასყიდლოდ გადაეცა 500 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები. ასოციაცია იმყოფებოდა დედოფლისწყაროს რაიონში და სოციალურად დაუცველი, დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე 25 მრავალშვილიან ოჯახს უსასყიდლოდ გადასცა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წიგნები და სათამაშოები. „შობა - ახალიწლის დღესასწაულიდან აღდგომამდე“, პროექტი გულისხმობს მილოცვას და დახმარებას სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, შშმ პირებისთვის და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის. ამ მიზნით საქველმოქმედო აქციები ჩატარდა: გორის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფ. მერეთის (სასაზღვროზოლი) საბავშვობაღშისადაც 33 აღსაზრდელია, ბავშვებს ასოციაციამ საჩუქრად ჩაუტანა სათამაშოები, საილუსტრაციო მასალა, ბაღში გამართული ზეიმისთვის განკუთვნილი ფორმები (ზღაპრების გმირების და მულტფილმების პერსონაჟები), სოციალურად დაუცველი ოჯახების აღსაზრდელებისათვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ასევე ტკბილეული. საბავშვო ბაღის ბიბლიოთეკას კი საბავშვო წიგნები. „შობა-ახალიწლის დღესასწაულიდან აღდგომამდე“, პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია იმყოფებოდა სოფელ ბარისახოში სადაც სოციალურად დაუცველ სკოლის მოსწავლეებს დაურიგდათ მეორეული ტანსაცმელი. დღენაკლბავშვთა დღეზე ორგანიზაცია ეწვია მათთვის დაგეგმილ ღონისძიებას და 20 ბავშვს გადაეცა თბილი პულოვერი და საბავშვო წიგნები. იგივე პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ საინგილოს რაიონის სოფელ ქოთოღლუს სკოლის მოსწავლეებს, სადაც ქართველ ბავშვები სწალობენ გაუგზავნა წიგნები და ტანსაცმელი. მ/წ ორგანიზაცია იმყოფებოდა ხონში, სადაც გაიხსნა „შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრი სადაც 12 ბენეფიციარია ცენტრი მიზნად ისახავს შშმპთა სენსორულ ინტეგრაციას, ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას, დამოუკიდებელი ცხოვრებისა თვის მომზადებას, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას, მათიპროდუქტიულ და დამოუკიდებელ პიროვნებებად ჩამოყალიბებას. ჩვენმა ორგანიზაცია მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და გაუწია ფინანსური დახმარება. გარდაამისა, ასოციაციის წევრები ეწვივნენ ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. დედალაურის 2 საბავშვო ბაღს, რომელთაც ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავში რებით, გადასცეს ტკბილეული, სათამაშოები, საბავშვო წიგნები, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. მ/წ ორგანიზაცია იმყოფებოდა მორიგ ღონისძიებაზე ეტლების დარიგების პროგრამით ბორჯომში, აღმოჩნდა რომ, ერთერთ ბენეფიციარს რომელსაც ჩვენმა ორგანიზაციამ გადასცა ეტლი, რამდენიმე ხნის წინ დაეწვა სახლი და თავს მეზობლის ბინას აფარებდა ორგანიზაციამ გადაწყვიტა ამ ოჯახისთვის უფრო მეტი დახმარება გაეწია და მას და მის ოჯახის წევრებს გაუგზავნა მეორეული ტანსაცმელი, ჭურჭელი, თეთრეული და კვების პროდუქტები. „შობა-ახალიწლის დღესასწაულიდან აღდგომამდე“, პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის წევრები ეწვივნენ გორის რნის სოფელ ფლავს, რომელიც მდებარეობს საზღვრისპირა ზოლში. სოფ. ფლავის საბავშვო ბაღში 3 სოფლის მკვიდრი, 2-დან 6 წლამდე ასაკის აღსაზრდელები დადიან, სულ 126 ბავშვია, ორგანიზაციის წევრებმა მიულოცეს ბავშვებს ახალი წელი და უსასყიდლოდ გადასცეს სათამაშოები(ასაკის გათვალი სწინებით), საბავშვო წიგნები, შემეცნებითი ლიტერატურა, ასევე ბავშვებს განასაკუთრებით შეჭირვებული ოჯახებიდან გადასცეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და კანფეტები. წარმატებით გრძელდება პროდუქტების დარიგების პროექტი რომელიც ითვალისწინებს 32 მარტოხელა მოხუცი ბენეფიციარისთვის ყოველთვე კვების პროდუქტების (წიწიბურა, მაკარონი, შაქარი, ზეთი, შვრიის ფანტელი, ბრინჯი) უსასყიდლოდ გადაეცემას, ხოლო „შობა - ახალიწლის დღესა სწაულიდან აღდგომამდე“ დღესასწაულის შესაბამისად დამატებით მანდარინი, კამფეტები, პასკა და კვერცხის გადაცემას. ასოციაციამ ამ 32 ბენეფიციარს 30 დეკემბერს ზეიმი მოუწყო კაფეში “ველტინსკი”, მიულოცა მათ ახალი წლისდადგომა და გადასცა კვების პროდუქტები. ორგანიზაცია ფულად დახმარებას უწევს განსაკუთრებული დამსახურების მქონე 3 ხანდაზმულ პენსიონერს. მ/წ ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპიკრატეს“ შეუსრულდა 20 წლისთავი. ფონდ „ჰიპო კრატესთან“ ორგანიზაციას ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს. წლების მანძილზე „ჰიპოკრატეს“ ექიმები ასოციაციასთან არსებული მობილური სამედიცინო ბრიგადის წევრებთან ერთად წარმატებით ახორციელებენ საქველმოქმედო საქმიანობას. ასოციაციას განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაწესებული აქვს საპატიომედალი „მშვიდიბისა და სიცოცხლისათვის“ რომელსაც გადასცემს სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეებს და ორგანიზაციებს. ამჯერად ეს საპატიო მედალი მადლიერების ნიშნად გადაეცა ფონდ „ჰიპოკრატეს“ მნიშვნელოვანი დამსახურებისა და ასოციაციასთან ერთად წარმატებით განხორციელებული საქველმოქმედო საქმიანობისათვის. ასოციაცია კვლავ განაგრძობს პროექტებში მონაწილეობას და სქველმოქმედო სქმიანობის განხორცი ელებას.

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები
მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ს/ნ 203845009
ბალანსი
2019 წლის

№	დასახელება	აქტივი	პასივი
1	ძირითადი საშუალებები	286022	
2	ძირითადი საშუალებების ცვეთა		163784
3	მომწოდებელზე გადახდილი ავანისი	192278	
4	ეროვნული ვალუტა ბანკში	134	
5	მოკლევადიანი ფინანსური დაბანდება	1052298	
6	ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან სხვადასხვა გადასახადზე	3988	
7	სარეზერვო კაპიტალი		1060595
8	საკუთარი რეზერვი		192152
9	მიღებული შემოწირულობა		118189
	სულ ბალანსი	1534720	1534720

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

N დ /01-03-20 18 მარტი 2020 წ.

აუდიტორმა ნოდარ კვანტალიანმა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში სარეგისტრაციო ნომრით SARAS-A- 680113 (სერტიფიკატი № N5/496 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 28 თებერვალს) საერთაშორისო ასოციაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ს/ნ203845009,თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე მოვახდინე 2019 წლის წლიური ანგარიშგების, მოგება ზარალის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

2019 წელს ასოციაციის მიერ მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 276087 ლარი.

მათ შორის: დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 31667 ლარი, შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით 118189 ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაშთად არსებული სასაქონლო მარაგები 63292 ლარი, ვალუტის გადაფასების შედეგად მიღებული მოგება 62939 ლარი.

აღნიშნული თანხები გახარჯულია მიზნობრივად. ამორტიზაცია დარიცხულია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით. 2020 წლის 01 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 121377 ლარს. საბიუჯეტო გადასახადები გადარიცხულია დადგენილ ვადებში. სამეურნეო წლის შედეგად მიღებულია ზარალი 20441 ლარი.

საერთაშორისო ასოციაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 2019 წლის აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბუღალტრული ბალანსისა დ მოგება-ზარალის ანგარიშგება შეესაბამება პირველად საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებს. ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის სისწორე დადასტურებულია ჩემს მიერ.

სერტიფიცირებული აუდიტორი: /ნ. კვანტალიანი/

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები

მშვიდობისა და სიცოცხლისათვის

მოგება -- ზარალის უწყისი ს/ნ 203845009

2019 წელი

№	შემოსავლები	
1	დეპოზიტზე დარიცხული სარგებლიდან მიღებული შემოსავალი	31667
2	მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით	118189
3	სასაქონლო მარაგების ნაშთი	63292
4	ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	62939
	სულ შემოსავალი	276087
	ხარჯები	
1	ხელფასი	53675
2	ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი და დასუფთავება	2481
3	დარიცხული ამორტიზაცია	9760
4	ძირითადი საშ. მიმდინარე შეკეთება	1932
5	საწვავის ხარჯი	9094
6	ქონების გადასახადი	1259
7	საქველმოქმედო ხარჯები შემოწორული	207771
8	საქველმოქმედო ხარჯები საკუთარი	4560
9	სხვა ხარჯები	5996
	სულ ხარჯები	296528
	მოგება	-20441

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები

მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ს/ნ 203845009

ფინანსური ანგარიში
მიღებული შემოსავლებისა
და ხარჯების შესახებ
2019 წლის

№	შემოსავლები	
1	დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები	31667
2	მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით	118189
3	საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მარაგები	63292
4	ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება	62939
	სულ	276087
	ხარჯები	
1	ხელფასი	53675
2	ელ. ნერგიის ხარჯი	370
3	საკომუნიკაციო ხარჯები	1271
4	საწვავის ხარჯი	9094
5	კომუნალური ხარჯი	2111
6	საქველმოქმედო ხარჯები	212331
7	სარეკლამო ხარჯი	692
8	ძირ.საშუალებ მიმდინარე რემონტი	1932
9	საკანცელარიო ხარჯი	391
10	მივლინება	345
11	დარიცხული ამორტიზაცია	9760
12	ქონების გადასახადი	1259
13	სხვა ხარჯები	3297
	სულ ხარჯები	296528
	სულ მოგება	-20441

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

განცხადება

ქალაქ რუსთავში, ნოტარიუს მაია მეტრეველთან (მისამართი: ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირი №5-100) მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება 1996 წლის 11 მარტს გარდაცვლილ მაშო პარასკევოვას (დაბადებული 1932 წლის 13 თებერვალი) სამკვიდრო ქონებაზე. დაინტერესებულმა პირებმა სამკვიდროს მისაღებად განცხადება შეგიძლიათ წარადგინოთ ზემოაღნიშნულ ნოტარიუსთან.

განმცხადებელი ზოია პარასკევოპულუ.

ისრაელში კონტროლი გამკაცრებულია

ისრაელის ხელისუფლება მოქალაქეებისგან შვიდი დღის განმავლობაში სახლში დარჩენას მოითხოვს.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნა არა სარეკომენდაციო ხასიათის, არამედ სავალდებულოა და უკიდურესი აუცილებლობის გარეშე საცხოვრებლის დატოვება აიკრძალება.

ისრაელში კორონავირუსით 677 ადამიანია ინფიცირებული.

ცნობილი გახდა, რომ „მოსადმა“ ქვეყანაში კორონავირუსის დიაგნოსტირებისთვის საჭირო 100 000-მდე ტესტი ერთ დღეში ჩაიტანა. თუმცა, ადგილობრივი გამოცემის „იერუსალიმ პოსტის“ ინფორმაციით, ისინი არასრული შემადგენლობის აღმოჩნდა, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწუნა.

ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სადიაგნოსტიკოდ ტესტები ფარულად ისეთი ქვეყნისგან შეიძინეს, რომელთანაც ისრაელს დიპლომატიური ურთიერთობა ოფიციალურად არ აქვს.

ნიუ იორკში დამცავი საშუალებების მარაგი იწურება

ნიუ იორკის მერის ბილ დე ბლაზიოს განცხადებით, მეგაპოლისი სამედიცინო ნიღბების, ხელთათმანებისა და ხალათების მარაგს ორ-სამ კვირაში ამოწურავს.

ბილ დე ბლაზიოს თქმით,

ქალაქს სულ მცირე სამი მილიონი ერთეული 395 ნიღაბი, 50 მილიონი ქირურგიული ნიღაბი, 15 000 ხელოვნური სუნთქვის აპარატი და დამცავი აღჭურვილობები, მათ შორის ქირურგიული ხალათები, სტერილური ხელთათმანები და ნიღბები სჭირდება, თითოეული 25 მილიონი ერთეული.

როგორც ნიუ იორკის მერი აღნიშნავს, ამ დროისთვის მარაგში მხოლოდ ის რაოდენობაა, რაც მარტის თვისთვის არის საკმარისი, აპრილიდან კი დეფიციტი ექნებათ, რის გამოც მერი ფედერალურ ხელისუფლებას მოუწოდებს, დროულად იზრუნონ მარაგების შევსებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიუ იორკი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ნიუ იორკში ახალი კორონავირუსით 22 ადამიანია გარდაცვლილი, ხოლო 3615 ინფიცირებული.

სანთელი

დედა ზოია მანძულაშვილი, მეუღლე ნინო ფოცხვერაშვილი, შვილები გიორგი, თამთა შატაიძეები, და ციცინო შატაიძე, დისწული გია აბდულაშვილი, ცოლისძმა დავით ფოცხვერაშვილი ოჯახით, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით, ბიძაშვილის ნუგზარ შატაიძის მეუღლე დოდო ყვავილაშვილი, ბიძაშვილები თამილა შატაიძე ოჯახით, ლალი, თამილა, ვახტანგ შატაიძეები, ნინო მაღლაკელიძე, ბიძა გურამ გოგიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა

გურამ გიორგის ძე შატაიძე

პანაშვიდი: 21.III; გამოსვენება: 22.III, 15 სთ; მის: აკ. წერეთლის №49/51, ბ. 9. დაკრძალვა მუხათგვერდში.

რევაზ და ირაკლი ჩაგელიშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეტყევეეკოლოგი და ტაქსოტორი, პროფესორი

გოგი (გიორგი) ძებისაშვილი

და მწუხარებაში თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დღეიდან საქართველოში საჰაერო მიმოსვლა სრულად შეწყდება



საქართველოს მთავრობასთან კოორდინირებით, განხორციელდება მხოლოდ ის ავიარეისები, რომელსაც „საქართველოს ავიახაზები“ შეასრულებენ. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ირაკლი ჩიქოვანმა განაცხადა.

ჩიქოვანის თქმით, ყველა ადამიანი, ვინც საქართველოში შემოვა , მიუხედავად იმისა, თუ საიდან მოემგზავრება საკარანტინო ზონაში გადაინაცვლებს. ისინი 14 დღე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან.

ცნობისთვის, საქართველოში კორონავირუსი 43 ადამიანს დაუდასტურდა. მათგან ერთი ინფექციური კლინიკიდან უკვე გაეწერა. ვირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა ქვეყანაში 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა.

სომხეთი - 136, აზერბაიჯანი - 44, საქართველო - 43 ინფიცირებული!

სომხეთი — 136, აზერბაიჯანი — 44, საქართველო — 43 ინფიცირებული — ასეთია აზიიდან ევროპაში გავრცელებული ახალი კორონავირუსის სტატისტიკა კავკასიის რეგიონში.

ვირუსის ყველაზე მეტი ინფიცირებული სომხეთში გამოვლინდა. 136 ფაქტიდან 14 ახალი შემთხვევაა.

ბოლო მონაცემებით, მეზობელ სომხეთში 1 ადამიანია გამოჯანმრთელებული, გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება, კრიტიკულ სიტუაციაში კი 2 ადამიანი იმყოფება. ორშაბათს, 16 მარტს, სომხეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო ინფიცირების პირველი შემთხვევა 1 მარტს დადასტურდა.

ინფიცირებულთა რაოდენობის მიხედვით, შემდეგი აზერბაიჯანია. აქ კორონავირუსი 44 ადამიანს დაუდგინდა, აქედან 7 გამოჯანმრთელდა, 1 კი გარდაიცვალა. აზერბაიჯანში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 28 თებერვალს დადასტურდა. კორონავირუსის გავრცელების სტატისტიკით, საქართველო ბოლო ადგილზეა. დღევანდელი მონაცემებით, ვირუსი 43 ადამიანს აქვს დადასტურებული. გამოჯანმრთელდა 1 ადამიანი, გარდაცვალების შემთხვევა დაფიქსირებული არაა.

საქართველოში კორონავირუსი პირველად, აზერბაიჯანის გავლით, ირანიდან შემოსულ საქართველოს მოქალაქეს 26 თებერვალს დაუდასტურდა. კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყანას, “COVID-19“-ის გავრცელების თვალსაზრისით, მსოფლიოში მესამე ადგილზე მყოფ ირანთან საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლა აკრძალული აქვს.

მილოცვა
გივი აბდუშელიშვილს



თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობის სახელით გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 80 წელს საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრს, ჩვენს გამორჩეულ მეგობარს, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს

გივი აბდუშელიშვილს.

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ძვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, იური ალანია, გესლან ძორძია, ლია წურწუმია, ჯემალ კვირტია, გულთაზ ლაბარტყავა, თენგიზ უჩანეიშვილი, გია სვანიძე, ვახტანგ ჩიქოვანი, ომარ შურღაია.

ხელების დაბანა ცეკვით

ინდოეთში პოლიციელები მოსახლეობას ხელების სწორად დაბანას ცეკვის დახმარებით ასწავლიან.

კერალას შტატის 6 სამართალდამცველებმა სპეციალური ვიდეო ჩაწერეს, რომელზეც ცეკვას სახელწოდებით „ხელების დაბანა“ ასრულებენ. ვიდეო სოციალურ ქსელებში სწრაფად გავრცელდა.

კერალაში კორონავირუსის 27 შემთხვევაა აღრიცხული. შტატის მთავრობა ინფექციის გავრცელების პრევენციაზე მუშაობს.

კორონავირუსის გამო მექა და მედინა დაიხურა

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მთავარი ისლამური სალოცავები დროებით დაიხურა.



მლოცველები მექისა და მედინის მეჩეთებში შესვლას ვეღარ შეძლებენ. რა ვადით იმოქმედებს ახალი რეგულაცია, ჯერჯერობით უცნობია.

საუდის არაბეთში დღეისათვის კორონავირუსის 274 შემთხვევაა დადასტურებული.

ი ყ ი დ ე ბ ა

ბინა გივი სვანიძის ქუჩა №10, მე-6 სართული, 72 კვ.მ მწვანე კარკასი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 577504664.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

◎ სულიერება

დიდმარხვის მესამე კვირიაკე
ჯვრის თაყვანისცემა

21 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მიცვალებულებს იხსენიებს.

* * *

22 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის III კვირიაკეს ხვდება პატიოსანი ჯვრის საკურთხევლიდან მლოცველთა წინაშე (ანალოგიაზე) გამობრძანებით.

...დიდმარხვის III კვირიაკეს მლოცველნი თაყვანს სცემენ მინდვრის ყვავილებით შემკულ ჯვარს, ეამბორებიან მას.

ნიშანდობლივია ის, რომ ამ წესით წმიდა ეკლესია შეგვაგონებს ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვიძარების, მხნეობის და კეთილ საქმეთა ქმნის ნიშანს, მარხვის დაუღლელობის სიმბოლოს.

საგულისხმოა ისიც, რომ მაცხოვარმა ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთსაც კი.

გიული ლიპარტია

კანის კინოფესტივალი გადაიდო

კორონავირუსის გავრცელების ფონზე კანის საერთაშორისო კინოფესტივალი გაუქმდა.



73-ე კინოფესტივალი კანში 12-23 მაისს უნდა გამართულიყო.

ამასთან, ღონისძიების ორგანიზატორები შემდგომი ნაბიჯების რამდენიმე ვარიანტზე მსჯელობენ.

მათი თქმით, ერთ-ერთ ვარიანტად ფესტივალის გამართვა ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში განიხილება.

საკურა მაინც იყვავილებს

იაპონელები და მილიონობით ტურისტი სხვადასხვა ქვეყნიდან ახლა საკურას ყვავილობის შთამბეჭდავი სანახაობით უნდა ტკბებოდნენ, მაგრამ კორონავირუსის პანდემიამ შეცვალა მრავალწლიანი ტრადიცია.

საკურას ყვავილობის სეზონი იაპონიისთვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორც კულტურული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ხელისუფლება მოუწოდებს მოქალაქეებს მოერიდონ ხალხმრავალ ღონისძიებებში მონაწილეობას, თავს იკავებენ უცხოელი ტურისტებიც.

მისი თქმით, გასული წლის სეზონზე სანახაობით დასატკბობად ქვეყანაში დაახლოებით 8,5 მლნ ტურისტი ჩამოვიდა, რამაც დაახლოებით 650 მლრდ (6 მლრდ დოლარი) იენი მოუტანა ტურიზმის სექტორს.

კორონავირუსით შექმნილი მდგომარეობა ნეგატიურად აისახება იაპონიის ტურიზმზე, თუმცა ყველაფერი ამით არ მთავრდება.

იაპონური ალუბალი დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ყვავის და მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სეზონურ დღესასწაულად მიიჩნევა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9942; ევრო - 3.3421;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7736;
100 რუბლი - 4.1028; თურქული ლირა - 0.4765;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7635;
1000 სომხური დრამი - 6.1277.

ამინდი 19 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-5	დღე	+6
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge